# სახალხო გაზეთი

№ 150 პარასკევი, 5 ნოემბერი, 1910 წ. წელიწადი პირველი. № 150

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ., საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთის" რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება, დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს სულ არ ინახება, ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.

ფოსტის ადრეს: Тифлисъ, Большая Ванкская ул. N 12, Семену Пашалашвили.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.



ამ წლის 7 მაისიდან გამოდის

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო

**სახალხო გაზეთი**

ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს ექმნება კვირეული

**სურათებიანი დამატება**

გაზეთის ფასი დამატებიანა: წლით როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით—4 მან. 80 კაპ., ერთი თვით—80 კაპ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.

****ხელის-მომწერთა საყურადღებოდ****

კანტორა აცხადებს, რომ გაზეთის ყოველ მიუღებლობაზე ხელისმომწერმა უნდა აცნობოს ხოლმე, რათა ყურადღება მიაქციოს გაზეთის წესიერად მიღებას.

„სახალხო გაზეთის" კანტორა ღიაა ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 9 საათიდან 3 საათამდე და ნაშუადღევის 5 საათიდან 7 საათამ.

წერილები და ფული უნდა გამოიგზავნოს ამ ადრესით: Тифлисъ, Большая Ванкская ул., № 12, Семену Пашалишвили.


არჩილ და ივანე სიმონის ძენი გუგუშვილები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობს გარდაცვალებას უსაყვარლესის ძმების

**კონსტანტინე და ალექსი სიმონის ძეთ გუგუშვილებისას.**

პირველის ორმოცის წირვა, ხოლო პანაშვიდი ორივესი დანიშნულია ქუთაისის მთავარ-ანგელოზის ეკკლესიაში, 7 ნოემბერს, დილით, კვირას. (2—193—2)


კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის ნება-რთვით

**გაიხსნა საბავშო ბაღი**

ანასტასია კონსტანტინეს ასულის გედევანიშვილისა.

დაწვრილებით ცნობათა და პირობათა შეტყობა საბავშო ბაღში მიღების შესახებ შეიძლება საყმაწვილო ჟურნალ „ნაკადულის" რედაქციაში, დილიდან ნაშუადღევის 3 საათამდე, გოლოვინის პროსპექტი, სახლი ზუბალაშვილისა, № 8. მეცადინეობა დაიწყება 8 ნოემბრიდან (7—185—6)

**რ. ა. პორტუგალოვისა**

ჩამოვიდა და მოიტანა ვარშავიდან, ოდესიდან და პეტერბურგიდან

**დიდ ძალი**

ქალებისა და ბავშვების ზედა ტანისამოსი და კოსტიუმები, იუბკები, ზედა და ქვედა და ხალათები

კაცების აუარებელი პალტოები, კოსტიუმები, წვიმის დროს სატარებელი პალტოები და წამოსასხამები, საზღვაო წამოსასხამები და აგრეთვე ბავშვების პალტო და კოსტიუმები. რადგანაც ყველა ზემოხსენებული საქონელი გადმოცემული მაქვს საკუთრად მისიოდ, ამიტომ იაფად იყიდება, ვიდრე სხვა მაღაზიებში.

ვინც ჩემგან იყიდის, მალიან კმაყოფილი დარჩება. მაღაზია მოთავსებულია ნიკოლოზის ზიდზე «ფაბრიჩნი მაღაზიის» ფირმის ქვეშ. N N 24—25. (50—57—30)

**ვაგზლის კერძო სამკურნალო**

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

გ. ვაშაყმაძე—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

ჯ. ა. მიქელაძე—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 1½—2½ ს.

ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

ნ. მ. მელიქიშვილი—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.

ა. პოპოვა—ყელ., ყურ., ცხვირ. და ყოველ დღე 12—1 ს.

ტერ-ნიკოლოზოვი დ. გ.—შინაგ. და ბავშვ. ოთხშაბათობით და კვირობ. 11½—12½ საათ.

ე. გ. ფედოროვი—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 2 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით. (წო.—5.—480)

**ტფილისის კერძო სამკურნალო**

გაფართოებულია და სტაციონალური განყოფილება

მოწყობილია 50 საწოლით.

განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლები № 7, „ვეტცელის" სასტუმროსთან.

ტელეფონი № 590.

სტაციონარულ ავადმყოფთა მიღება ყოველთვის შეიძლება, დღეც და ღამეც.

საამბულატორო ავადმყოფებს მიიღებენ სპეციალისტი ექიმები:

ლამბაშიძე გ. დ.: შინ. და ბავშვ. ყოვ. დღე; გარდა კვირისა 11—12 საათ.

გედევანიშვილი მ. ა. ნერ. და ელექ., ორშ., და პარ. 10½—11 ს.

გურკო გ. ა. შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 საათ.

კარშინი ა. ა. კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა 2½—3½ ს.

მაღალაშვილი გ. გ. შინ., სამშ. და საბ. 10—12 ს.

ქიქოძე ტ. ს. შინაგანი, ორშ. და ოთხშაბ. 9—10 ს.

მანსვეტოვი გ. მ. შინ., ორშ., ოთხშ., და პარას. 1—2 ს.

მუსხელიშვილი ვ. ს.—თვალისა, ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 12—2 ნახ. ს.

მელიქიშვილი. ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველდღე 12—1 ს.

ფირალოვი რ. ბ. ქირურ. ყოველ-დღე 11—12 ს.

პაპოვი ვ. ა. ყურ., ყელის და ცხვი., ყოვ. დღე 2—2-ნახ. ს.

სხიბილევსკი გ. გ. ქირურ,. ყოვ. დღე, 9—11 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ. და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორ. რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შედავათ. საფასურით. (200—ნ.—317)

მოითხოვეთ ახალი პაპიროსი

**„ანფისა"**

ფასი 15 ცალი 6 კაპ.

„ 25 „ 10 კაპ.

„მიროს" ფაბრიკისა.

მიუხედავად იაფი და ყველასათვის მისაწვდომ ფასებისა, პაპიროსი „ანფისა" შემზადებულია მაღალ ხარისხოვან და გემოვნების თამბაქოსაგან.

**მიაქციეთ ყურადღება საუკეთესო ხარისხს და გემოვნებას.** (15—150—7)

ტელეფონი № 862. **ქართული თეატრი** წარმოდგენა № 20.

კვირას, 7 ნოემბერს, 1910 წელს,

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ ვლ. ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

**სამეგრელოს მთავარი ლევანი.**

ისტორიული დრამა 5 მოქმედებად, გ. ყიფიანისა.

მონაწილეობენ: ქ-ნნი: დავითაშვილი ნ., ვიქტორელი მ., ლეჟავა ო., ლოლუა ა., ქილარჯიშვილი მ., მოთამე ა., ჯავახიშვილი ნ. ბ-ნნი: ალექსი-მესხიშვილი ვლად, არადელი ვ., ალექსიძე ა., გვარამე ნ., ყიფიძე ი., ზარდალიშვილი ი., მესხი კ., მდივანი ბ., მატარამე ვ., მგალობლიშვილი დ., მამფორია ი., ალექსიძე, შალიკაშვილი ვ., ციციშვილი ნ.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ადმინისტრაცია ქართ. დრ. საზოგადოება. რეჟისორი ვლ. ალექსი მესხიშვილი.

ადგილების ფასი: გალერეია 20—40 კ.-მდე, პარტერი 50 კ.—3 მ., ლოჟები 5 მ.—10 მ. კუპონები ლოჟებში შეგირდებისთვის 50 კ.

დამსწრეთა საყურადღებოდ: თეატრის ადმინისტრაცია ამით ყველას აუწყებს, რომ მოქმედების დაწყების შემდეგ სათეატრო დარბაზში არავის არ შეუშვებენ, ამიტომ მესამე ზარის შემდეგ ყველანი თავ-თავის ადგილზე უნდა ისხდნენ.

მზადდება წარმოსადგენედ: „იმედის დაღუპვა", მისს გობს. (3—1)

**სახალხო სახლი ძმ. ზუბალაშვილებისა**

№ 6. შაბათს, 6 ნოემბერს № 43.

სახალხო სახლთან არსებულ ქართულ წარმოდგენების მმართველ წრის მიერ ტასო აბაშიძის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

**ტარტიუფი, ანუ მუზმუზელა**

კომ. 5 მოქმ. მოლიერისა, თარგ. ივ. მაჭავარიანისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ტ. აბაშიძე, ქართველიშვილი, დეკანოზიშვილი, ნაკაშიძე, ბ-ნნი ანაშვილი, ბაქრაძე, გედევანოვი, გოცირიძე, ინაშვილი, მეტრეველი, თაზიშვილი და სხ.

ფასები 50 კ.-დან—5 კ.-მდე. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

გამგეობა სთხოვს საზოგადოებას სხვის ადგილებზე ნუ დასხდებიან. ბავშვების თეატრში შეყვანა და ფარდის აწევის შემდეგ თეატრში შესვლა აკრძალულია. ბილეთები იყიდება თეატრის კასაში დილის 12-ან 2-ის და 6-ან საღამოს 8 ს.-მდე.

მორიგი წევრი ლ. ვახვახიშვილი. რეჟისორი ნ. გოცირიძე. (2—1)


**ტფილ. საგუბერნიო გამგეობა**

ამით აცხადებს, რომ ტფილ. სახაზინო პალატაში 1910 წ. 30 ნოემბერს, შუადღისას, 12 საათზე, მოხდება ზეპირად და დაბეჭდილის განცხადებით

**საჯარო ვაჭრობა**

პარტიობით და ნაწილობით ტფილისის გუბერნიის საეტაპო ადგილების შენახვისა და მოწყობის საქმის იჯარით გასაცემად. ხელ-ახალი ვაჭრობა მოხდება პირველ ვაჭრობიდან სამის დღის შემდეგ. იჯარა სამის წლის ვადისაა, პირობის დამტკიცების დღიდან დაწყებული. ის პირნი, რომელთაც ჰსურთ ზეპირს ვაჭრობაში მონაწილეობა მიიღონ, ვალდებულ არიან დანიშნულ დღის 11 საათამდე მისცენ ამის შესახებ ტფილისის სახაზინო პალატას თხოვნები სავაჭრო საბუთებითა თავის წოდების მოწმობითა და საჭირო გირაოთურთ, რაც უნდა იყოს ⅓ ნაწილი წლიურის საიჯარო თანხისა; ხოლო ვინც ვაჭრობაში მონაწილეობას იღებენ დაბეჭდილის განცხადებით, ვალდებულნი არიან, არა უგვიანეს ვაჭრობის დღის 11 საათისა, წარადგინონ ან გამოგზავნონ ტფილისის სახაზინო პალატაში განცხადებანი, დაწერილნი იმ ფორმით, რომელიც აღნიშნულია სახაზინო გასაკეთებელ საიჯარო საქმეთა დებულების 144 მუხლში (გამ. 1900 წ.), ზემოდ განმარტებულ საბუთებითა და გირაოთურთ. განცხადებანი, რომელნიც არ ეთანხმებიან ამ 144 მუხლში მოყვანილს წესებს, უვარგისად ჩაითვლებიან. ამ საგნის შესახებ პირობათა ნახვა შეუძლიანთ მსურველთ საგუბერნიო გამგეობასა და ტფილისის სახაზინო პალატაში ყოველ დღე, კვირასა და უქმე დღეებს გარდა, დღის 10 დან 12 ს.-დე.

**ბ ლ წ ე რ ა**

ტფილისის გუბერნიის საეტაპო ნაწილებისა მათთვის დადგენილ ეტლებისა და ცხენების რიცხვითურთ.

**საეტაპო ნაწილები მუდმივის მოწყობილებით.**

**ქალ. ტფილისში:**

| | | |
|---|---|---|
| ტფილისისა (არის საეტაპო ეზო გადასაყვან ნაწილში | 6 | ეტლი. |
| **სიღნაღს მაზრაში:** | | |
| კაკაბეთისა (არის საეტაპო ეზო) | 2 | „ |
| კაჭრეთისა (არის საეტაპო ეზო) | 2 | „ |
| ნუკრიანისა | 5 | „ |
| მუკუზანისა (არის საეტაპო ეზო) | 1 | „ |
| ლაგოდეხისა (არის საეტაპო) | 2 | „ |
| ალაზნისა (არის საეტაპო ეზო) | 2 | „ |
| „თუქურმიშისა (არის საეტ. ეზო)". | 1 | „ |
| **საეტაპო ნაწილები დროებითის მოწყობილებით.** | | |
| **ტფილისის მაზრაში:** | | |
| ვაზიანისა (არის საეტაპო ეზო) | 4 | „ |
| სართიჭალისა (საეტაპო ეზო არის) | 4 | „ |
| მუხროვანისა (საეტაპო ეზო არის) | 3 | „ |
| **ახალქალაქის მაზრაში:** | | |
| ხერთვისისა (საეტაპ. ეზო არის) | 2 | „ |
| ახალქალაქისა | 2 | „ |
| **თელავის მაზრაში:** | | |
| თელავისა | 3 | „ |
| **ახალციხის მაზრაში:** | | |
| აწყურისა (საეტაპ. ეზო აზრის) | 2 | „ |
| ასპინძისა (საეტაპო ეზო არის) | 2 | „ |
| ახალციხისა | 2 | „ |
| **გორის მაზრაში:** | | |
| ბორჯომისა | 1 | „ |

(3—189—3)


**მასწავლებელი**

ამზადეს შეგირდებს ყველა საშუალო და დაბალ სასწავლებლებისათვის. ნახვა შეიძლება დილის 8—11 საათამდე და საღამოს 3—5 ს-მდე. მიხაილოვის ქ. № 144. (25—162—14)

**საჭიროა აგენტი**

პროვინციაში გაზეთების გავრცელების **ბიუროსათვის** შემდეგ ადგილებში: ლანჩხუთი, ყვირილაში, და სიღნაღში.

ადრესი: Тифлисъ, Эриванская площадь д. Гургенова Эр. Горделадзе. (2—2)

**ექიმი ჯაფარიძე**

ქ. ქუთაისში

იღებს ყურის, ყელის, ცხვირის, ბავშვების და მინაგანის სნეულებით ავადმყოფებს ყოველ-დღე. ტფილისის ქუჩა, სახლი თავ. ნიჟარაძისა. (თ.—188—3)

**სამკურნალო**

სპეციალისტ სამხედრო ექიმების გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის. განქის დიდი ქუჩა, N 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად, ტელეფონი N 483.

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ავადმყოფთა მიღება 9½-დან 5 ს.-დე.

ი. მ. ახპიხოვი. ცხვირ., ყელ. და ყურისა. ყოველ-დღე 1—2 საათამდე.

გნუკოვი—ქირურგ. ყოველდღე 12-1 ს.

მოსხე—ბავშვთა, შინაგ. ავადმყ. ყოველ დღე, გარდა კვირა უქმისა 1½—3 სათ.

ნოვიცკი—ბებია ქალებ., ყოველ დღე 1—2 ს.

უკლობდნიკოვი—შინაგ. ავად. ყოველ-დღე 4—5 საათ.

რიდელი—შინაგ. ბავშვ. ყოველ-დღე 3—4 საათამ.

თეთრაძე—სიფ., ვენერ., კან. ყოველ-დღე 1—3 საათ.

ჩუდნოვსკი ი. ნერვ. სულ. ელექტროტერაპია. ყოველ დღე გარდა კვირა-უქმისა 4—5 საათ.

ხარაბ—ბავშვ. შინ. ყოვ.-დღე 12—1 ს.

ვესელოვზოროვი ნ. ნ. ქირურგ. ავად. ყოვ. დღ. 2—3 საათ.

ოხსელიანინსა—ქალ. ავად., ორშაბათ. ოთხშ., პარს., კვირა 11—12 საათ.

ლიმონი—კბილის ავად. ყოველ-დღე 9—11 საათამ.

მიკარტუმოვი დილის 10½—11½ ს. ყოველ-დღე.

ფონდოევი—ნერვ. ელექტრო-ტერაპ., ყოველ-დღე 11—12 საათ.

ხატისოვი ნ. დ.—ბებ., ქალ., ყოველ-დღე, კვირისა და სამშაბათს გარდა 4—5 ს.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათხშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსნარის შრატით. (100—5.—16)

ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო

**მიხეილ გედევანიშვილისა**

იღებს ავადმყოფებს კვირის გარდა დილით 12—1; საღ. 6—7 საათ. გასინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ. 20. (0—6.—75)

**ექიმი** კბილისა **ალ. სოლოლაშვილი**

იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 ს. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (უ)

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე**

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4. სახლი ჯაბაშვილისა. (უ)

**ექიმი ზ. ნ. მაგაკიანი**

შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. სპეციალურად კუჭისა და ნაწლავებისა. მიიღება დილის 10—11 საათ. (ბავშვთა) საღამოს 5—7 საათი (საზოგადო). მიხეილის პროსპექტი, № 36, ტელეფონი N 388. (100—ზაღ.—71)

**ექიმი ე. ვაშაკიძე**

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. გოგოლისა და ბატარეინის ქუჩების კუთხე N 24. (0—253)

**ექიმი ზ. ა. მიქელაძე**

იღებს შინაგან და ბავშვე სნეულებიან ავადმყოფთ ყოველდღე საღამოს 5½—6½ საათამდის. გაზეთის ქ. ტელეფონი N 816.

**ექიმი რ. დ. მაჭავარიანი**

იღებს ავადმყოფთ ყოველ დღე დილით 8—11 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე. ბაკინოვის ქუჩა N 7. (თ.—130—2 6)

**ექიმი** კბილისა **ნინო რცხილაძე**

იზმაილოვზე N 2. **გადავიდა** ვის ქუჩ. ოდე. ავადმყოფთ დილით 10 ს.—2 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე.


## ტფილისი, 5 ნოემბერი

**სახალხო განათლება კავკასიაში.**

როგორც ყოველთვის, წელსაც კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის ანგარიში მრავალ საინტერესო ცნობას შეიცავს. ანგარიში განხილულ 1909 წელს შეეხება. ანგარიშში მოქცეულია სტატისტიკური ცნობები სწავლა-განათლებაზე ამიერ და ჩრდილო კავკასიაში და დასასრულ მზრუნველის აზრი იმის შესახებ, თუ რას უნდა მიექცეს მომავალში უმთავრესი ყურადღება.

როგორც ანგარიშიდან სჩანს, კავკასიის მზრუნველის უმთავრესი გულისყური ისეთ სასწავლებლების გამრავლებისკენ არის მიქცეული, რომელნიც მოსწავლეებს რაიმე ხელობას ასწავლიან და სამრეწველო ცოდნას შესძენს. სამრეწველო განათლების წინ წამოყენება ეხლანდელ მზრუნველის ინიციატივაა. ამ განათლების გასავრცელებლად სამოსწავლო ოლქის მიერ შემუშავებულია საგანგებო გეგმა, რომელიც, კავკასიელთა სამწუხაროდ, ჯერ-ჯერობით ვერა სრულდება, ქონებრივ სალსრის უქონლობისა გამო. სხვათა შორის 1908 წლიდან სამოსწავლო ოლქს განზრახული აქვს ინსტრუქტორების მოწვევა სპეციალურ სატეხნიკო და აგრონომიულ ცოდნათა გასავრცელებლად, მაგრამ ეს საქმეც ჯერ-ჯერობით საკმაოდ ფართოდ არ არის დაყენებული. ინსტრუქტორების მოსაწვევად მხოლოდ 1909 წლიდან იხარჯება წელიწადში 500 თუმანი საერობო შემოსავლიდან. ამ ხელშემშლელი გარემოებათა მიუხედავად, მომავლისთვის მაინც საკმაო საბუთი გვაქვს იმედიანად ვიყოთ, რადგან ოლქის მზრუნველი ენერგიულად მეცადინეობს, ხოლო ეს მეცადინეობა კი საფუძვლიანი იავდებობაა.

სხვა და სხვა ხარისხის სასწავლებლები თუ დაუპირისპირეთ ერთმანეთს, აღმოჩნდება, რომ კავკასია, შედარებით, მდიდარია საშუალო განათლების სასწავლებლებით და—ღარიბი პირველდაწყებითის სკოლებით. ერთი საშუალო სკოლა ორთაშუა რიცხვით 51 ათას მცხოვრებზე მოდის, ხოლო ერთი პირველდაწყებითი სკოლა—4400 მცხოვრებზე ე. ი. პირველდაწყებითი სკოლები მხოლოდ თორმეტჯერ არის მეტი საშუალო სკოლებზე. ეს შეუფერებელი პროპორციაა, რადგან თანამედროვე პირობებში პირველდაწყებითი განათლება აუცილებლივ საყოველთაო უნდა იყოს, საშუალო განათლება კი მხოლოდ ბედნიერ რჩეულთა ხვედრია. საშუალო და პირველ დაწყებითის სკოლების პროპორცია განსაკუთრებით შეუფერებელია ამიერ კავკასიაში: აქ თითო საშუალო სკოლა 47 ათას მცხოვრებზე მოდის, პირველ დაწყებითი—6 ათასზე. ჩრდილოეთ კავკასიაში მცხოვრებთა რაოდენობის მიხედვით პირველ დაწყებითი სკოლა ორჯელ მეტია, ვიდრე ამიერ კავკასიაში: იქ თითო ასეთი სკოლა სამ ათას მცხოვრებზე მოდის.

საყურადღებოა, რომ პირველ დაწყებით განათლების მხრივ, კავკასია თვალსაჩინოდ ჩამორჩა არა მარტო რუსეთის იმ გუბერნიებს, სადაც ერობა მოქმედობს, არამედ უერობო გუბერნიებსაც. იქ თითო პირველ დაწყებითი სკოლა 1427 მცხოვრებს ხვდება, კავკასიაში კი, სამრევლო სკოლებიც რომ ვიანგარიშოთ, თითო სკოლა 2271 მცხოვრებზე მოდის. მაშასადამე, განათლების მხრივ, კავკასია რუსეთის უფრო ჩამორჩენილ ნაწილებზე კიდევ ერთი ორად ჩამორჩენილი ყოფილა. თუმცა გაკვრით, მაგრამ მაინც ნათლად აღნიშნავს კავკასიის მზრუნველი, რომ პირველ-დაწყებით სკოლის გახსნას, უმთავრესად და უძლიერესად, საერობო თვითმმართველობის უქონლობა აფერხებსო.

მზრუნველის ანგარიშში მოყვანილია აგრეთვე ცნობები იმის შესახებ, თუ როგორ განიყოფება მოსწავლეთა საერთო რიცხვი ეროვნების მხრივ. პირველი ადგილი მოსწავლეთა რაოდენობის მხრივ მთელს კავკასიაში უჭირავთ რუსებს (53,7%) [illegible] ქარ

თველებს (16,1%) და მესამე სომხებს (7,2%). აქ მხედველობაში არ არის მიღებული სომხეთა სასულიერო წოდების სკოლები, რომელშიაც 16 ათასზე მეტი ყმაწვილი სწავლობს. ეს ციფრი რომ ანგარიშში ჩავაგდოთ, მეორე ადგილი სომხებს ერგებათ, მერმე ქართველებს. დიდი პროცენტი რუს მოსწავლეებისა წარმოსდგება იქიდან, რომ ჩრდილოეთ კავკასიაში უმთავრესად რუსის ბავშვები იმყოფებიან სკოლებში. საკუთრივ ამიერ კავკასიის სასწავლებლებში 30 ათასი რუსია, 49 ათასი ქართველი, 32 ათასი სომეხი, 12 ათასი მაჰმადიანი, 3 ათასი ოსი და 13 ათასი სხვა ეროვნებისა. სომეხ მოსწავლეთა რიცხვს უნდა მიემატოს 16 ათასი, რომელნიც სასულიერო სასწავლებელში სწავლობენ, და აღმოჩნდება, რომ განათლების მხრივ თითქმის თანაბარი ადგილი უკავიათ ქართველებს და სომხებს, ხოლო ორივენი სჭარბობენ რუსებს. საშუალო სასწავლებლებში, ამისდა მიუხედავად, ქართველებს, სომხებს და რუსებს თითქმის თანასწორი ადგილი უჭირავთ. ეს, რა თქმა უნდა, იმით აიხსნება, რომ რუსები უმთავრესად ქალაქ ადგილებში სცხოვრობენ, სადაც საშუალო სასწავლებლები იმყოფება.

ციფრები გვიჩვენებენ აგრედვე, რომ ქართველები შედარებით ძლიერ ეტანებიან საშუალო განათლებას და ნაკლებ—პირველ-დაწყებითს. საშუალო სასწავლებლებში 8.850 ქართველი მოსწავლე ირიცხება, პირველდაწყებით სკოლებში 36.207; მაშასადამე სულ ოთხჯერ ნაკლები. თავის თავად ცხადია, რომ ეს ჩვენს პირობებში ანორმალურ მოვლენად უნდა ჩაითვალოს. ამ ორი ციფრის შედარება გვიჩვენებს, რომ ოთხს წერა-კითხვის მცოდნე ქართველზე ერთი საშუალო განათლებით აღჭურვილი ყმაწვილი მოდის. პირველ-დაწყებით განათლების ასეთი ჩამორჩენა ყოვლის უწინარეს მაჩვენებელია სოფლისადმი ნაკლებ ყურადღების მიქცევისა როგორც მთავრობის, აგრეთვე საზოგადოების ინტელიგენტურ ძალების მხრივ.

# სახელმწიფო სათათბირო

**თავმჯდომარეობს გუჩკოვი.** კითხულობენ შინაგან საქმეთა მინისტრის წერილს, სადაც მოყვანილია ტფილისის სასამართლო პალატის განაჩენი, რომლითაც ბოქაულის თანაშემწე გვათუა პასუხისგებაში ყოფილა მიცემული იმის გამო, რომ **ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძისათვის** უკანონოდ მიუცია მოწმობა, სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატობაზე კენჭის ყრის საცენზო უფლებისა. ამასთანავე მინისტრი იუწყება, რომ პალატის გამოკვლევის მიხედვით, მან კავკასიის ნამესტნიკს შეატყობინა, რომ ნიკოლოზ ჩხეიძე, რომელსაც ამომრჩევლობის ცენზი არა ჰქონია, გამორიცხულია ამომრჩეველთა და არჩეულთა სიიდან. ამ საქმეს სათათბიროს რჩევა განსხილველად და გადასაშინჯად სათათბიროს პირველ განყოფილებას გადასცემს.

**გეგეჭკორი** აცხადებს, რომ ფორმალურ უფლების თვალთახედვით ეს საქმე სათანადო განყოფილებას უნდა გადაეცეს, როგორც ეს ბევრჯერ მომხდარა სათათბიროში, და არა-პირველ განყოფილებას. აქ კი რას ვხედავთ?—ასეთ წესის დარღვევას: ეს საქმე სათათბიროს ტრიბუნიდან წაიკითხეს მხოლოდ მისთვის, რომ ტალახი და უწმინდურება გადაასხან დეპუტატს ჩხეიძეს და მის ფრაქციას. თუ ამითი ჩვენი შერცხვენა ჰნებავთ, მე ვაცხადებ, რომ თვით ეს ქაღალდიც და მთელი ეს ისტორია ჩხეიძის არჩევისა სიცრუეა და ცილისწამება, ადმინისტრაციისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ შეთხზული (მარცხნივ ტაშის ცემა). ჩვენ ვაცხადებთ, რომ პრეზიდიუმის საქციელი ამ შემთხვევაში პირადის კინკლაობითაა გამოწვეული (მარცხნივ: მართალია!) ჩვენ იქამდე უმწიკვლო ვართ, რომ ეს ჭუჭყი ჩვენ არ მოგვეკარება. (მარცხნივ ტაშის ცემა).

**თავმჯდომარე აცხადებს:** ეს საკითხი მხოლოდ იმ აზრით უნდა განვიხილოთ, რომ მთავრობა ამ გზით დეპუტატ ჩხეიძის გამორიცხვას მოითხოვს ჩვენგან (მარცხნივ ხმაურობა, მარჯვნივ. „მართალი!“) თუ სათათბიროს რჩევამ სათათბიროს წარმოუდგინა ეს საქმე, მისი მიზანი მხოლოდ ის იყო, რომ შესაძლოა, საქმისათვის სხვა მიმართულება მიგვეცა და განსაკუთრებული კომისია აგვერჩია ამ საქმის განსახილველად; ჩვენა გვსურდა სათათბიროსათვის სრული უფლება მოგვეცა,—განსაკუთრებულ კომისიისთვის გადაეცა ეს საქმე, თუ პირველ განყოფილებისათვის.

**იოვიცკი მეორე** ამბობს. მესამე სათათბიროს გახსნიდანვე ხმები დადიოდა, რომ დეპუტატი ჩხეიძე „უკანონოდ იმყოფება სათათბიროში. ეხლა, სასამართლოს განაჩენის მერე, სათათბირო მოვალეა საგანგებოდ გაარკვიოს ეს საქმე. კავკასიის დეპუტატებს სიფრთხილით უნდა ვექცეოდეთ, თორემ სათათბირო თავის წრეში ზელიმ-ხანს გაიჩენს (მარცხნივ ტაშის ცემა).

**ბობრინსკი** განსაკუთრებულ კომისიის მომხრეა. სათათბიროს ტრიბუნიდან მინისტრის განცხადების წაკითხვა, დეპუტატ ჩხეიძის წინ და წინვე სახელის გატეხაა, ასეთი საქციელი სათათბიროს ღირსებას არ შეეფერება (მარცხნივ: „ეს სამარცხვინოა“, მარჯვნივ: „ვერცხვენოდეთ, ღენერალო“).

**ბულატი.** ეს ყველაფერი იქიდან წარმოიშვა, რომ მთავრობა და სათათბიროს უმრავლესობა ყოველ ღონის ძიებას ხმარობს, როგორმე სახელი გაუტეხოს ხალხის ნამდვილ წარმომადგენლებს (მარჯვნივ იცინიან) მესამე სათათბირო ხალხის ნამდვილ წარმომადგენლების სახელს რომ ღირსეულად აფასებდეს, მაშინ ამისთანა ცილისწამებას პირდაპირ უარჰყოფდა.

სათათბიროს რჩევის წინადადება მიიღო და ჩხეიძის საქმე პირველ განყოფილებას გადასცა.

**გეგეჩკორი** გაიხსენებს თავმჯდომარის მიერ დებულების დარღვევას და ამბობს: იმისთანა ხალხის სიტყვები, რომელსაც ადამიანის სახე დაუკარგავს და მხოლოდ იმაზე ოცნებობს, რომ მის მასაზრდოებელს ფეხ-ქვეშ უგორდებოდეს, ვერც ერთ პატიოსან კაცს ვერ შეურაცხყოფს.

**თავმჯდომარე** შენიშნავს, რომ ეს დებულების დარღვევას არ ეხება.

**გეგეჭკორი.** წარსულ კრებაზე მემარცხენეთა მიერ გამოთქმული გულის წყრომა მემარჯვენეთა ორატორის მიმართ კი არა, თავმჯდომარის წინააღმდეგ იყო მიმართული. სათათბიროს ტრიბუნა მეტად ძვირფასია მემარცხენე დეპუტატთათვის, რადგანაც მათ ყოველთვის ახსოვთ, რომ თავისუფლებისთვის მებრძოლთა განგმირულ გვამებზე გადმოიარეს (მარცხნივ ტაშის ცემა, მარჯვნივ—ხმაურობა).

**თავმჯდომარე** უმეორებს, რომ ნათქვამი დებულების დარღვევას არ შეეხება.

**გეგეჭკორი** აცხადებს, რომ მას მხედველობაში აქვს თავმჯდომარის მიერ დებულების 143 მუხლის დარღვევა და აღნიშნავს, რომ სათათბიროს ტრიბუნის შებღალვას აზრადა აქვს ხალხის წარმომადგენელთა სახელის გატეხა და დამცირება. ასეთ საქციელის წინააღმდეგ გულის წყრომის გამოცხადება და სათათბიროს უმრავლესობის წინააღმდეგ გალაშქრება ყველას ზნეობრივი და პოლიტიკური მოვალეობაა (მარცხნივ ტაშის ცემა, მარჯვნივ—სტვენა).

**თავმჯდომარე** აცხადებს: წარსულს კრებაზე დეპ. პურიშკევიჩმა ჩვენი ინტელიგენცია მეტად უდიერ და ხეპრე სიტყვებით დაახასიათა. სამწუხაროდ ეს პირველი მაგალითი არ არის: ასეთი საქციელი თან-დათან ფეხს იკიდებს ჩვენის სათათბიროს ცხოვრებაში (მარცხნივ სიცილი და ხმები: „თქვენის ხელ-შეწყობით!“) იმავე კრების სტენოგრაფიულ ანგარიშში, თქვენ ნახავთ მარცხნიდან წამოძახილ სიტყვებს, რომელიც პურიშკევიჩისას არ ჩამოუვარდება. (ხმები მარცხნივ: „ხოლო, არა ტრიბუნიდან“) მე ვეცდები, რომ მცირეოდენი, პარლამენტის შესაფერი, ელემენტური ზნე მაინც შევათვისოთ. მაგრამ თქვენ მუდამ ძირს უთხრით ასეთს მისწრაფებას (ცენტრში და მარჯვნივ ტაშის ცემა, მარცხნივ სტვენა).

**პირველ დაწყებით სკოლის კანონ-პროექტის მეცხრე და მეათე მუხლის** განხილვაზე გადადიან.

მომხსენებელი **ფონ ანრეპი** კომისიის აზრს იცავს.

**მარკოვი მეორე და ტიჩინინი** მთავრობის რედაქციას ემხრობიან. **9—10 მუხლები** კომისიის რედაქციითაა მიღებული.

**მეთერთმეტე მუხლიც** კომისიის რედაქციითაა მიღებული, რომელიც კანონის დარღვევისათვის მის დაკეტვას აწესებს.

**ბულატის** აზრით, სკოლის დაკეტვის უფლება მხოლოდ სასამართლოს უნდა ჰქონდეს.

**თავმჯდომარის ადგილს კაპუსტინი იჭერს. მეთორმეტე მუხლი** სკოლის სამოსწავლო პროგრამას ეხება.

**ბუცკი** პროექტის წინააღმდეგია და თხოულობს: სკოლამ ისეთი გამოსაყენებელი ცოდნა მისცეს, რომ სოფლის ცხოვრებას შეეფერებოდეს.

**გრაფი უვაროვი** ურჩევს, ასეთ მოსაზრებას ყურადღება არ მიაქციონ.

**ვიშნევსკის** აზრით სკოლამ არსებითი რამე უნდა მისცეს მოსწავლეს, ამისათვის ერთ ერთ ხელობას მაინც უნდა ასწავლიდნენ.

**იანუშკევიჩის** აზრით სასკოლო პროგრამაში უნდა შეიტანონ: კანონების შესწავლა, გალობა, ხატვა, გიმნასტიკა, ზრდილობიანი მოქცევა.

**ხასმამედოვი** ბეჯითად მოითხოვს, რომ დედა-ენა სავალდებულო საგნად იყოს მოხსენებული.

**კამენსკის** აზრით საზოგადოებრივი ცოდნა უნდა შეიტანონ სკოლაში, ხოლო ეს ცოდნა სარწმუნოებრივ-ზნეობრივის გრძნობით უნდა იყოს განმსჭვალული.

**გარუსევიჩი** დედა ენის სავალდებულო საგნად შეტანას ემხრობა.

**ბულატი.** სამღვთო სჯულის, რუსულ ენისა, რუსეთის ისტორის თავისუფალ სწავლების მომხრეა, ხოლო წინააღმდეგია გიმნასტიკისა და ამ საგნების სავალდებულო სწავლებისა, რადგანაც ამაში რუსიფიკაციულ განზრახვას ჰხედავს.

**მღ. გეპეცკის** აუცილებელ საჭიროებად მიაჩნია სლავიანურისა და გალობის სწავლება.

**ბელოუსოვი** წინააღმდეგია სამღვთო სჯულის სავალდებულო სწავლებისა, ვინაიდან სარწმუნება ყოველ ადამიანის კერძო საქმეაო.

**მღ. სტანისლავსკი** სოც.-დემოკრატებისა და შრომის ჯგუფის შესწორებაში ეკლესიისა და სახელმწიფოს განცალკევების მოსწრაფებასა ჰხედავს.

მომხსენებელი **კოვალევსკი** კომისიის რედაქციას იცავს,

**მეთორმეტე მუხლს.** კომისიის რედაქციით იღებენ, მხოლოდ შემდეგის შესწორებით: ჩელიშევისა—რომ პროგრამაში შეტანილი იყოს მაგარ სასმელების მავნებლობაზე ცნობების მიცემა; პროგრესის ჯგუფის—რომ მაურველებს სამაზრო საბჭოს ნებართვით დედა-ენის შესწავლის ნება მისცენ; კლოჩკოვისა—რომ არა-რუსთა ბავშვებს სლავიანური ენა სავალდებულოთ ასწავლიან.

შემდეგი სხდომა პარასკევს მოხდება.

# სახელმწიფო საბჭო

**გოლუბევი** თავმჯდომარეობს. ავტორის უფლებათა პროექტის მუხლებრივი განხილვა იწყება. მე-28 მუხლი კერძო წერილთა უფლებას იცავს, სიკვდილის შემდეგ 50 წლის განმავლობაში, როდესაც მიწერ-მოწერის უკანასკნელი ავტორი გარდაიცვლება. მას ემხრობიან კონი, კრესტოვნიკოვი და გრიმმი. საბჭო ამ მუხლს ღებულობს.

29 მუხლი კობილსკის რედაქციით და გრიმმის თანხმობითაა მიღებული. ამ მუხლის ძალით დღიურები და კერძო წერილები ავტორის გარდაცვალებიდან 50 წლის შემდეგ შეუძლიანთ გამოსცენ ავტორის მეუღლისა და შვილების ნებართვით.

30-32 მუხლები უკამათოდ მიიღეს.

შემდეგ **კრესტოვნიკოვის** შესწორებას იხილავენ. შესწორება მე 2 და მე-4 მუხლს ეხება, რომელიც საზღვარ-გარედ გამოცემულ თხზულებათ ეხება. კრესტოვნიკოვის აზრით, შესაძლებელია ისეთ ავტორებსაც გამოესარჩლნენ, რომელნიც საზღვარ-გარედ გამოსცემენ სამეცნიერო სურათებიან წიგნებს, მუსიკურსა და მხატვრულს ნაწარმოებს.

მინისტრის ამხანაგი **გასმანი,** ტაგანცევი და გრიმი ამის წინააღმდეგნი არიან, რადგანაც ეს შესწორება გამომცემლობის ინტერესებს იცავს და არა ავტორისასაო.

**კრესტოვნიკოვის** შესწორება უარყოფილია. მე-2 და მე-4 მუხლი კომისიის რედაქციითაა მიღებული.

**33—34 მუხ.** იხილავენ. **პიხნო** 35 მუხლის შესწორებას იცავს. ამ მუხლის ძალით უცხოეთის ავტორს განსაკუთრებული უფლება ენიჭება, როდესაც მის ნაწარმოებს რუსულად სთარგმნიან. თარგმნის თავისუფლების შევიწროება პიხნოს აზრით, ძლიერ შეაფერხებს რუსეთში სერიოზულ განათლების გავრცელებას და მოსწავლე ახალგაზდობას თითქმის საშუალება მოესპობა უცხოეთის მეცნიერებით ისარგებლოს. ორატორი ამტკიცებს, რომ უცხოეთის ავტორთა უფლებას რუსის მკითხველთა ინტერესები არ უნდა ვუმსხვერპლოთო.

**საბლერი** უპასუხებს, რომ უცხოეთის ავტორების უფლება უნდა დავიცვათ, ამას სამართლიანობაც მოითხოვს; იგი ჰფიქრობს, რომ თარგმნილ წიგნთა შემცირება დიდ ვნებას არ მოუტანს რუსეთის განათლებას,—მით უმეტეს, რომ რუსეთი თავის საკუთარ ნიჭებითაც უზრუნველყოფილია: ჩვენს მეცნიერთ თავისი ძალღონითაც შეუძლიანთ რუსეთი პროგრესის გზაზე წინ წასწიონ.

მინისტრის ამხანაგი **გასმანი** 35 მუხლის მიღებას ითხოვს ისე, როგორც კომისიასა აქვს შემუშავებული.

**კოვალევსკი** აღნიშნავს, რომ სამართლიანობა მოითხოვს, უცხოეთის ავტორებს თავისი უფლება არ წავართვათ. თარგმნის უფლების შეზღუდვა თვით ნათარგმნის ღირსებაზე კარგს გავლენას იქონიებს, ხოლო სერიოზულ ნაწარმოებთა რაოდენობა ამითი არ შემცირდება, ვინაიდან ასეთ თხზულებათა ავტორები არც გამომცემელთათვის და არც მთარგმნელთათვის სამძიმო პირობათ არაა მისდევენ ხოლმეო.

**ერმოლოვი** კოვალევსკის ემხრობა და ამბობს, რომ უცხოელ ავტორთა უფლების უზრუნველყოფა რუსეთის ავტორთა უფლების დასაცველადაცაა საჭირო, რადგანაც რუსულიდანაც სთარგმნიან ხოლმე უცხო ენაზეო.

ამისთვის 35 მუხლის მიღებას თხოულობს.

35—35 მუხლი კომისიის რედაქციით მიიღეს.

შემდეგი კრება პარასკევს მოხდება.

# დეპეშები

პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან

4 ნოემბერი.

## საზღვარ-გარედ

**ლონდონი.** ლორდთა პალატაში ლენსდოუნის საპასუხოდ კრიუმ განაცხადა, რომ მთავრობა დღეს საღამოთივე წარმოადგენს ლორდთა პალატაში ბილლს (კანონ-პროექტს) „ვეტოს“ უფლებისას.

**ლონდონი.** ლორდთა პალატა. ლენსდოუნმა განაცხადა, რომ დღესვე შევადგენ რეზოლუციას, რომლითაც მთავრობას მოვსთხოვთ, რომ ლორდთა პალატაში ბილლი დაუყოვნებლივ წარმოადგინოს. „ვეტოს“ გამო კონფერენციის კრება, ლენსდოუნის აზრით, ფარულად უნდა მოხდეს.

**ლონდონი.** მთავრობას განზრახვა აქვს ნოემბრის შუა რიცხვებამდე პალატა დაითხოვოს. „გლობის“ სიტყვით, რადგანაც მეფის მიერ ნათხოვნი უზრუნველყოფა ასკვიტმა ვერ მოახერხა, იგი გადადგომას აპირებსო.

რეიტერი იუწყება, რომ ინგლისისა, ამერიკისა, გერმანიისა და საფრანგეთის ფინანსიური წრეები ჩინეთის სესხის თაობაზე შეთანხმდნენ. ამ შეთანხმებით ყოველ ეროვნებას თავისუფალ მოქმედების უფლება ენიჭება და ერთმანეთის მეტოქეობაც შეუძლებელი ხდება.

ეს შეთანხმება რამდენიმე წლის ვადით განისაზღვრება.

**მადრიდი.** ელმოკრისთან მოლაპარაკება დასრულდა. მაროკომ ესპანიას უნდა გადაუხადოს რიფის ექსპედიციისათვის 25 მილიონი მანეთი.

**პარიზი.** სახლის პატრონთა, ხუროთმოძღვართა, მოიჯარადრეთა და საამშენებლო საქმეში დაინტერესებულ სინდიკალისტთა მიტინგმა, რომელსაც 5000 მეტი კაცი დაესწრო, დაადგინა: რადგანაც გაფიცვას ბოლო არ უჩანს და საამშენებლო მუშათა შორის მოძრაობა არა სცხრება, შეადგინონ სინდიკალისტთა პალატის მუდმივ დელეგატთა ორგანიზაცია, სადაც იქნებიან მოიჯარადრენი, ხუროთმოძღვარნი და სახლის პატრონნი, რათა მუშათა გაფიცვის დროს შეთანხმებულად იმოქმედონ.

**ბერლინი.** გაზეთებში მოყვანილია ბეირონის მონასტერში წარმოთქმული ვილჰელმის სიტყვა. ვილჰელმმა ბენედიქტინელთ ქება შეასხა, როგორც კულტურის მატარებელთ და იმედი გამოსთქვა, რომ მათი ორდენი ხელს შეუწყობს მეფის მისწრაფებას, რათა გერმანიის ხალხში სარწმუნოება მკვიდრ ნიადაგზე იდგესო.

**თეირანი** ქაშანის ალყის შემომარტყმელი ბახტიარების რაზმი თეირანში მოვიდა. შირვანში გასაგზავნ ჯარს იტალიის ინსტრუქტორი მალეტი და გერმანიის ტყვის-მფრქვევ ზარბაზნების ინსტრუქტორი გაამზადებენ.

**ლონდონი.** ლორდთა პალატაში კრიუს მიერ წარდგენილი ბილლი პალატამ ფორმალურ წაკითხვის შემდეგ მიიღო. რადგანაც კრიუმ განაცხადა, რომ მთავრობა ბილლის არავითარ შესწორებას არ შეიწყნარებსო, შესაძლოა, რომ იგი შეუცვლელად მიიღონ.

## რუსეთი

**მოსკოვი.** ქალაქის საბჭომ, ცხარე კამათის შემდეგ, დაადგინა, მურომცევის სურათი დიდს დარბაზში კი არა, პატარაში ჩამოჰკიდოს და მის სახელობაზე ერთი სტიპენდია დაარსოს უნივერსიტეტში.

**ცარსკოე სელო.** დილის 11 საათზე საზღვარ-გარეთიდან ჩამოვიდნენ: მეფე, დედოფალი, მემკვიდრე და მეფისს ასულნი.

**ოსტაპოვო.** ტოლსტოის ფილტვების ანთება აღმოჩნდა. სიცხე 38,8 გრადუსი აქვს.

**პეტერბურგი.** გაზ. „პრავოს“ რედაქტორი ქალაქის უფროსმა 300 მანეთით დააჯარიმა, გაზეთის მე-44 ნომერში მოთავსებულ წერილისათვის „სიკვდილით დასჯა 1910 წ.“

**ოსტაპოვო.** დილით ექიმთა კონსულიუმი მოახდინეს, იყვნენ მაკოვეცკი, სტახოვსკი და ნიკიტინი. ერთი ანთება ააცილეს. ღამით ჩამოვიდა გრაფინია სოფიო ანდრიას ასული, თავისის ექიმით. ავადმყოფთან ჯერ არ შეუშვეს. ნიკიტინის აზრით ავადმყოფს მარჯვენა ფილტვი გაუსუფთავდა. ავადმყოფს არ აბოდებს. მისი სახლობა ვაგონში სცხოვრობს, ხოლო სადგურზე სადილობს.

**მოსკოვი.** სასამართლო პალატამ პასუხის გებაში მიცემულ 31 სოც.-დემოკრატიდან სამს 4 წლით კატორგი მიუსაჯა, 10—გადასახლა, 5—ორის წლით ციხე გადაუწყვიტა; 3—თითო წლით დაპატიმრება, 1—ორის წლით გამასწორებელი რაზმი, 8—ექვსის თვით საპატიმროში დამწყვდევა, 1—გაამართლა.

# ახალი ამბები

## ტფილისი

◆ **ლ. ტოლსტოის გარდაცვალება.** ტფილისში გუშინ ხმა გავრცელდა, რომ მხცოვანი რუსი მწერალი ტოლსტოი უკვე გარდაცვლილა.

◆ **ს. ს. ტროიცკის დასაფლავება.** გუშინ, 4 ნოემბერს, მიწას მიაბარეს გვამი ტრაგიკულად გარდაცვალებულის მასწავლებლის ს. ს. ტროიცკისა. დილიდანვე დიდ-ძალი ხალხი მოგროვდა განსვენებულის ბინაზე, ნიკოლოზის ქუჩაზე, საიდანაც ცხედარი წამოასვენეს პირველ გიმნაზიის ეკლესიაში. წირვისა და პანაშვიდის გადახდის შემდეგ განსვენებულის გვამი მიწას მიაბარეს კუკიის სასაფლაოზე. დასაფლავებას დაესწრნენ ტფ. ვაჟთა პირველ გიმნაზიის მასწავლებელნი და მოსწავლენი, ტფ. ყველა საშუალო სასწავლებლების მოსწავლეთა წარმომადგენელნი, სამოსწავლო ოლქის მზრუნველი და ადმინისტრაციისა და სამოქალაქო უწყების უმაღლესი წარმომადგენელნი. განსვენებულის კუბო შემკული იყო მრავალის გვირგვინით.

◆ **ექსარხოსის გამგზავრება.** 3 ნოემბერს, საქართველოს ექსარხოსი ინოკენტი ყარს გაემგზავრა.

◆ **ს. ს. ტროიცკის მოკვლის საქმე.** მასწავლებლის ს. ს. ტროიცკის მკვლელის შალვა თავდგირიძის საქმე, ნამესტნიკის განკარგულებით, სამხედრო სასამართლოს გადაეცა განსახილველად.

◆ **ბუჰგალტერების კრება.** 3 ნოემბერს ტფ. ქალაქის გამგეობის წევრის ნ. ე. არღუთინსკის თავმჯდომარეობით, ქალაქის თვითმართველობის ბუჰგალტერთა კრება მოჰხდა, რომელზედაც განხილულ იქმნა საკითხი იმის შესახებ, რომ ქალაქის ბუჰგალტერიაში შემოღებულ იქნას ისეთი სისტემა, როგორიც ამ ჟამად იტალიაში არსებობს. კრებამ ეს საკითხი საბოლოოდ ვერ გადასწყვიტა და დაავალა ქალაქის მთავარს ბუჰგალტერს ბ ნს დანდუროვს, სამის დღის განმავლობაში შეადგინოს მოხსენება ქალაქის ბუჰგალტერიის საქმეთა განაწილების შესახებ ბუჰგალტერთა შორის და აგრედვე წარმოადგინოს თავისი მოსაზრებანი განზრახულ ცვლილებათა შესახებ.

◆ **მ. თამარაშვილის ახალი შრომა.** რედაქციამ ქართველ კათოლიკე პატრის, ცნობილ მიხეილ თამარაშვილის ფრანგული წიგნი მიიღო: „საქართველოს ეკლესია დასაბამიდან ჩვენს დრომდის“. წიგნი 710 გვ. შეიცავს და ღირს 15 ფრანკად (6 მანეთამდე). ამ წიგნის ბიბლიოგრაფიას ამ მოკლე ხანში მოვათავსებთ.

◆ **ტფ. დეპუტატთა საკრებულოში.** 7 ნოემბერს სათავად-აზნაურო დეპუტატთა საკრებულოში მოჰხდება თავად-აზნაურთა წინამძღოლებისა და დეპუტატების კრება, რომელიც გაანაწილებს საქველმოქმედო საქმეებისთვის გადადებულ 6.000 მანეთს.

◆ **თ. დადეშქელიანის მოკვლის საქმე.** ქუთაისის სასამართლოს გამომძიებელს უკვე დაუმთავრებია თავ. დადეშქელიანის მოკვლის საქმის გამოძიება და საბრალდებლო ოქმები ჩაუბარებია: მოკლულის მეუღლის ბარბარე დადეშქელიანისთვის, უგანათლებულეს თავადის ჟუჩა დადიანისთვის, ბობოხიძისა, ცინცაძისა, კახიძისა და სხვათათვის. საქმე მომავალ დეკემბერში გაირჩევა.

◆ **თავად-აზნაურთა წინამძღოლნი სამართალში.** ქუთაისის გუბერნიის წინამძღოლი თავ. ს. დ. წერეთელი და ქუთაისის მაზრის თავად აზნაურთა წინამძღოლი თავ. დ. ო. ნიჟარაძე დუელისთვის პასუხის გებაში მიეციათ. მათი საქმე გაირჩევა 18 ნოემბერს ქუთაისში.

◆ **კავკასიის უნივერსიტეტი.** განჯის ქალაქის თვითმმართველობამ 2.000 მანეთი გადასდო კავკასიის უნივერსიტეტის მისაწყობად.

◆ **მთავრობის მამასახლისები.** როგორც გავიგეთ, მომავალი წლის პირველ იანვრიდან ტფილისის გუბერნიაში სრულიად გაუქმებულ იქმნება მთავრობის მამასახლისთა ინსტიტუტი.

◆ **ქვა-ნახშირის მადანი.** ვაკესა და ნაძალადევში, როგორც გადმოგვცეს, ქვა-ნახშირის მადანი აღმოჩნდა. ვაკეზე ხსენებული ადგილი კერძო პირს ეკუთვნის, ხოლო ნაძალადევში—ქალაქისაა.

◆ **„606“ ტფილისში.** 2 ნოემბერს სამკურნალო საზოგადოების წევრთა კრება მოხდა. სხვათა შორის, დამსწრეთ ექიმმა ა. ნ. დიასამიძემ აჩვენა ათაშანგიანი ქალი, რომლისთვისაც ერლიხის პრეპარატ „606“-თი უწამლნია. წამლობა დაუწყია 5 ოქტომბერს და ავადმყოფი ისე გამოსალებულა, რომ სამკურნალოდან სრულიად გამოწერილა.

◆ **დავა ავიატორებს შორის.** ავიატორმა ქებურიამ სასამართლოში საჩივარი შეიტანა ავიატორ ვასილიევზე. უჩივის 25.000 ფრანკს, რომელიც, მომჩივნის სიტყვით, მას ერგება ვასილიევისაგან პარიზში მათ შორის დადებულ ხელშეკრულობის ძალით.

◆ **საფილოქსერო კომიტეტში.** 9 ნოემბერს კავკასიის საფილოქსერო კომიტეტის წევრთა კრება მოხდება, რომელიც მოისმენს მოხსენებას იმის შესახებ, თუ რა შედეგი მოჰყვა კახეთში ფილოქსერასთან ბრძოლას და აგრეთვე მსჯელობას იქონიებს იმ ზომების შესახებ, რომლის მიღებაც საჭიროა მომავალში იქ ფილოქსერასთან საბრძოლველად.

◆ **ფრენა.** 3 ნოემბერს დიდუბის მოედანზე ფრენა გაიმართა. იფრინა ავიატორმა ვასილიევმა, მაგრამ ძალიან მაღლა არ აფრენილა, რადგან ქარი ჰქროდა და ჩქარაც ჩამოეშვა ძირს. ქარი იმდენად ძლიერი იყო, რომ ავიატორმა წრეში ველარ მოახერხა ჩამოფრენა და რკინის გზის იქით გადავიდა, სადაც ძლივს ჩამოეშვა.

◆ **სამართალში მიცემა.** ტფ. ქალაქის გამგეობამ დაადგინა, სამართალში მისცეს ნაძალადევის საქალაქო მიწის მოიჯარადრე ნაცვლიშვილი იმის გამო, რომ მან ქალაქის გამგეობის ოფიციალურ ქაღალდზე, რომლითაც მას ატყობინებდნენ მის საჩივრის უყურადღებოდ დატოვების ამბავს საიჯარო ფასის შემცირების შესახებ, დააწერა: „თქვენგან კარგს რამეს არც მოველოდით“. ეს წარწერა ქალაქის გამგეობამ შეურაცხყოფად მიიჩნია.

◆ **ავაზაკობასთან ბრძოლა.** კავკასიის უმაღლეს მთავრობის განკარგულებით საპოლიციო ადგილები შემოღებულ იქმნა გორის მაზრის ექვს სოფელში: ხაშურსა, ცხინვალსა, სომანეთსა, ქვიშხეთსა, ქარელსა და ჩუმათელეთში.

◆ **სახალხო სახლში.** სახალხო სახლში ქართულ წარმოდგენების მმართველ ახალის წრის რეჟისორად დაინიშნა ნიკო გოცირიძე, ნაცვლად კ. შათირიშვილისა, რომელმაც სამსახურს თავი გაანება.

◆ **ტფ. ქალაქის გამგეობაში.** ქალაქის გამგეობამ დაავალა ბ-ნ ქოქჩაევს დაწვრილებითი პროგრამა შეადგინოს იმ დღესასწაულისა, რომელიც ქალაქმა უნდა გადაიხადოს მომავალ წლის თებერვალში გლეხთა განთავისუფლებიდან 50 წლის შესრულების აღსანიშნავად.

◆ **ხრენოვისა და ნევზოროვის მოკვლის გამო.** 1906 წელს ტფილისში მოკლულ იქმნენ საპოლიციო უბნის ზედამხედველნი ხრენოვი და ნევზოროვი. ამ მკვლელობის გამო ახლა პოლიციამ შეიპყრო: ძმები სარქის და მოსეს მუსიკოვები, ვართანუშ კამაშიანცი, მანუკ ამირხანიანცი და სხვანი, რომელთაც ბრალდებათ აგრეთვე ყალბის ფულის დამზადება და გასაღება.

◆ **ფუნიკულერი.** ამ ჟამად ფუნიკულერი მუშაობს დილის 10 საათიდან საღამოს 7 საათზე. 15 ნოემბრიდან ფუნიკულერი სრულიად არ იმუშავებს.

◆ **ცეცხლი.** 3 ნოემბერს, სადილის 6 საათზე, საპიროთა ქუჩაზე ცეცხლი გაუჩნდა პოდპოლკოვნიკის პ. პანკრატოვის ოთხ სართულიანს სახლს. ცეცხლი ძლივს გააქრეს ცეცხლის მქრობელმა რაზმმა და ჯარის კაცებმა. ზარალი დიდია. სახლი დაზღვეულია მოსკოვის დამზღვევ საზოგადოებაში 100.000 მანეთად.

◆ 3 ნოემბერს პოლიციამ ტფილისში შეიპყრო 75 უპასპორტო.

◆ სურამის ბოქაულის თანაშემწის აღმასრულებლად დაინიშნა სურამის ბოქაულის უფროსი თანაშემწე თავ. ტიტიკო გეზირიშვილი.

# პატარა ფელეტონი

## ქალაქის თავი

პატარა ქალაქების პატარა თავებს ზოგჯერ თურმე მეტად დიდი თავმოყვარეობა აქვთ. ზოგ ქალაქის თავს, მაგალითად, პირად შეურაცხყოფად მიაჩნია, როცა რომელიმე ხმოსანი მცხოვრებთა კეთილ-დღეობაზე დაიწყებს ლაპარაკს. კეთილდღეობა, რა თქმა უნდა, კარგი საქმეა, მაგრამ თელავის ლორდმერის აზრით, მაგალითად, ამ საგანზე ხმოსანი თურმე ხმას არ უნდა იღებდეს, იმიტომ რომ ეს შეურაცხყოფაა ქალაქის თავისა. მართალია, შეურაცხყოფილი ქალაქის თავი უპასუხოდ არ დასტოვებს ხმოსნის თავხედობას და ისეთი სიტყვებით გაუმასპინძლდება მას, რომ თავ-ბედი აწყევლინოს, მაგრამ მაინც აბა რა საჭიროება მოითხოვს მყუდრო ცხოვრების დარღვევას და ისეთ საგნებზე სიტყვის ჩამოგდებას, როგორც მაგალითად ხორცის ნიხრია. ქალაქის თავი თავისთვის არსებობს, ხმოსანი თავისთვის, ხოლო ხორცის ნიხრი კი ყასბებისთვის და აბა, რა საჭიროა, ხმოსანი ქალაქის თავს ხორცის ფასზე გამოელაპარაკოს. თუ ხმოსანს ეშმაკი შეუჩნდა და მოსვენებას არ აძლევს, განა არ შეიძლება ქაღალდზე დასწეროს და ისე წარუდგინოს თავისი აზრი ქალაქის თავს? დაწერილს ქალაქის თავი ან სულ არ წაიკითხავს, ან წაიკითხავს მაშინ, როცა გუნებაზე იქნება, თორემ რა პატიოსნებაა ხმოსნისაგან, სწორედ მაშინ მოასმენინოს ქალაქის თავს და სხვა ხმოსნებს თავისი აზრი ამ საგანზე, როცა მათ არა სწადიანთ.

ქალაქის თავის პირველი და უდიდესი მოვალეობა წესიერების დაცვაა და აბა რა წესიერება იქნება დაცული, თუ ხმოსნები ერთმანეთს აჰყვნენ და ათასი საჭირ-ბოროტო საგანი წამოაყენეს? ეს ერთის მხრივ გაახმაურებს ისეთ ფაქტებს, რომლებიც უამისოდ სადათას ძილში მყოფ მცხოვრებლების ყურადღებას არ იპყრობენ, მეორეს მხრივ ზარალს მიაყენებს ზოგიერთ ვაჭრებს, მაგალითად ყასბებს, უკმაყოფილებას გამოიწვევს და იქნება ხალხმა შემდეგ არჩევნებზე აღარც კი აირჩიოს ეხლანდელი ქალაქის თავი. მართალია, ეხლანდელ თელავის თავს არაფერი არ დაუზოგავს იმის მისაღწევად, რომ ქალაქ თელავის ბუნებრივი ნაწილები ქალაქს არ შეუერთდნენ და ამომრჩეველთა შედგენილობა არ შესცვალონ, მაგრამ ეს კიდევ საკმაო არ არის. ყოვლის უწინარეს საჭიროა საქმის ისე დაყენება, რომ ვერავინ ვერა ჰბედავდეს ქალაქის თავის მოქმედებას კრიტიკა გაუკეთოს და დააფასოს. კრიტიკა და დაფასება ქალაქის თავმა სხვებზე უკეთ იცის, ხმოსნებს კი თავის თავხედისაც არაფერი გაეგებათ. და როცა ამის მიუხედავად რომელიმე თავხედი ხმოსანი გაკადნიერდება და უსიამოვნო საგანზე ჩამოაგდებს სიტყვას, რა უნდა ჰქნას პატარა ქალაქის დიდმა თავმა იმის მეტი, რომ ხმოსანს მაგარ-მაგარი სიტყვები მიარტყას და ჩააჩუმოს.

მადლობა ღმერთს, ხმოსნებმა ერთმანეთის გატანა არ იციან და ამხანაგის შეურაცხყოფისთვის ქალაქის თავს არც პასუხს მოსთხოვენ, არც უსაყვედურებენ. **პ.**

# ქართველები შორეულ აღმოსავლეთსა და ციმბირში.

ანკეტა.—ბიურო.—ქართველების გაჭირვება ციმბირში.—რიცხვი და თვისება მათი.—ციმბირი.—ჩინელი, იაპონელი და სხვა.

ამ გაზაფხულზე დადგენილ იქმნა, ერთის დაწესებულებისგან მომხდარიყო ანკეტი და შეგროვილიყო სტატისტიკური ცნობანი ქართველთა შორის ციმბირში მათ ეკონომიურ და კულტურულ მდგომარეობის გასაგებად.

მაგრამ სხვა და სხვა გარემოებათა გამო ანკეტის მაგივრად საჭირო გახდა რამე საერთო ორგანიზაცია დაარსებულიყო ყველა იმ ქალაქში, სადაც ქართველები სცხოვრობენ.

ამ ორგანიზაციას ხარბინში უწოდეს „ბიურო ქართველ საზოგადოებისა“; წესი ბიუროსი მთავრობამ დაამტკიცა 30 დეკემბერს 1909 წელსა.

ამ გარემოებით წახალისებულმა ქართველებმა მოინდომეს სხვა და სხვა ქალაქებშიაც თავ-თავიანთი ბიურო გაეხსნათ; მით უფრო, რომ ათასი მიზეზი აიძულებდა ციმბირის ქართველობას გაერთობა ჰქონოდა.

ციმბირის რკინის გზებზე აუკრძალეს ქართველებს ბუფეტების იჯარით აღება; ამურის ახალ გზაზე ხომ უბრალო მუშა რა არის,—ისიც არ მიუშვეს უცხო ტომისა; თუმცა აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩინელ მუშების დაუხმარებლად ამურის გზის გაყვანა შეუძლებელია.

რაც გინდა იყოს, ამ შორეულ ცივ ციმბირში ქართველობა ძალიან შევიწროებული იყო და არის. ესაა უმთავრესი მიზეზი, რომელმაც გამოიწვია „ბიუროს“ დაარსება.

ერთმა „ბობოლამ“ უთხრა აქ გურულს, რომ თქვენ **ყველა ურჯულო ურიცხვით გადასახლებული ხართ ციმბირადაო.**

გურულს მაშინვე მოკლედ მოეჭრა სიტყვა: თუ ციმბირიდანაც ასახლებენ, ეს პირველად მესმისო; ისიც პირველად მესმის, რომ ქართველებს წმ. ნინომ რჯული არ მისცა და წიგნი არ დაუწერაო.

ისეთ თავხედობას იჩენდა აქაური ადმინისტრაცია, რომ უბრალო სასტუმროს გახსნის ნებასაც არ აძლევდა სრეტენსკში ანტონ ჯიბლაძეს და ამავე სტანიცაში ატამანი პასპორტს არ აძლევდა მიხა ხავთასის.

ყველა ამ შევიწროვებამ, რასაკვირველია, ის გამოიწვია, რომ ბევრი გამოუცდელი და ახალგაზდა გულისთქმას აჰყვა, იარაღი იშოვა და თვისტომობის განურჩევლად, არსენა ყაჩაღივით, ძარცვა-გლეჯა დაუწყო ყველას. აქ განსაკუთრებით ის არის მოსახსენებელი, რომ ეს დამცემი ბიჭ-ბუჭობა თავისიანებს უფრო მეტ ზარალს აყენებდა, ვიდრე უცხოს, ვინაიდან დამნაშავე ერთი იყო და პოლიცია კი ყველა ქართველს სდევნიდა. ასე გასინჯეთ, სადაც გინდა მომხდარიყო ძარცვა-გლეჯა, ქართველს დაიჭერდნენ უეჭველად. ეს გარემოება, პოლიციის აზრით, ნიშნობლივი თვისება არის ქართველებისა იმისათვის, რომ სხვა როცა სძარცვავს, კაცსაცა ჰკლავს; მარტო ქართველი არა ჰკლავს კაცსაო. ამისათვის წამ-და-უწუმ ტყუილ-უბრალოდ აღალ-მართალ კაცს ატუსაღებდნენ. ასე შეავიწროვეს ფილიპე თავაძე, ვიქტორ ჯაფარიძე, ანტონ რამიშვილი და მრავალნი სხვანი,

სულ უბრალო მაგალითს მოვიყვან: ახალ ამურის რკინის გზაზე, სადგურ ბუშელზე, **ოსებმა მედუქნე გაქურდეს;** პოლიციამ კი ქართველები დაიჭირა. მიზეზი? თურმე ნუ იტყვით, აქაურები ოსებს ქართველებისაგან ვერ არჩევდნენ. ეს უბრალო ხალხს ეპატიება, მაგრამ აქაური მმართველობა და ტომსკის უნივერსიტეტის პროფესორი გვარად პ. ა. პროკოშევიცი, რომ ამისთანებებში მცნარი უმეცრები არიან, ეს კი სწორედ საკვირველია.

მეორეც ის იყო, რომ ყველა ამ არეულობამ დიდი აურ-ზაური გამოიწვია აქაურ ქართველობაში და ჩხუბი და დავა ასტეხა. საჭირო იყო სამედიატორო სასამართლო და ზოგიერთ შეუგნებელ კაცის განდევნა აქაურ საზოგადოებიდან. რომ ისევ სამშობლოში დაგვებრუნებინა ის ვაგაბუნდები, რომელნიც პატრონს დაჰკარგოდნენ,—ფული იყო საჭირო. ერთი კაცი, რაც გინდა მდიდარი ყოფილიყო, ყველას ვერ გასწვდებოდა: საჭირო იყო ერთობა, სოლიდარობა, დამხმარებელი კასსა; ყველა ეს საჭიროება „ბიუროს“ საშუალებით დაკმაყოფილდებოდა, მაგრამ ზოგიერთა შეუგნებელი უფროსი-ადმინისტრატორი ჩვენი ბიუროს წესს არ ამტკიცებდა და ამით მღვრიე წყალში თევზს იჭერდა.

მაინცა და მაინც ბევრგან დამტკიცებულია ეხლა ბიუროს წესები სხვა და სხვა პირთა ღვაწლით, სხვათა შორის, ამ საქმეში დიდი ამაგი მიუძღვის მ. ილია მათიკაშვილს და ტომსკის სტუდენტობას.

ეხლა თითქმის ყველა ციმბირის ქალაქშია აღძრული თხოვნები ქართველების ბიუროს დასამტკიცებლად. შეიძლება, ყოველგან დამტკიცებულ იყოს ბიუროს წესი.

ქართველთა რიცხვი ციმბირში, ანკეტის უქონლობის გამო, გამოურკვეველი არის

თუმცა იმის კვალობაზე თუ ვივარაუდეთ, რომ ამ ორი-სამის წლის წინად ნებსით თუ უნებლიედ ქართველობა ათასობითა სტოვებდა სამშობლოს და ციმბირში სახლდებოდა,—მაშინ მართლაც მათი რიცხვი, რასაკვირველია, ათასზე მეტია. მათ შორის ეგრეთ წოდებული „самоход“-ები ნახევარზე მეტია. ქალი სულ ორი სამია. აქ სახეში არ არის მიღებული პოლიტიკური დამნაშავე. ეგრეთ წოდებული „ციმბირში გამოგზავნილი“ სულ უბრალო საქმეზე იყვნენ და არიან გადმოსახლებულნი. მაგალითად, ამ ორის წლის წინად ღრმა მოხუცებულებაში გარდაიცვალა აქ გველესიანი, კარგი ახოვანი ვაჟ-კაცი, დევივით წარმოსადეგი, ტატო წულუკიძის საქმეზე წამოსული. სასაცილოა, რომ ეს ცნობილი ყაჩაღი, ტატო წულუკიძე, თითქმის სრულებით არ იცნობდა თურმე გველესიანს. გველესიანის დანაშაულობა თურმე ის იყო, რომ რაც ტატო წულუკიძემ საქეიფოდ ამ გველესიანის დუქანი აირჩია, ბოქაულ ა. ლ—ძეს მისი დაჭერა მაშინ მოუნდა. გველესიანმა გადაცმული ჩაფრები ვერ იცნო, ავაზაკებად ჩაფრები მიიღო, იშიშვლა ხმალი და ვითომ ლ—ძეს მიეშველა, ჯანაბას მადლობას მაინც მადლობას მაინ მეტყვიანო. გველესიანის გაკვირვებას საზღვარი აღარა ჰქონდა თურმე, როცა განაჩენით ის კატორგაში იგზავნებოდა, როგორც ყაჩაღ ტატო წულუკიძის ახლო მეგობარი და ამხანაგი. კუნძულ სახალინამდის როგორც იყო მიეყვანათ, მაგრამ მერეკი ეშველა თავისათვის და წამოსულიყო. სიარულით ფეხებზე ტყავი გადასძვრომოდა, კინაღამ შიმშილით მომკვდარიყო, მაგრამ მაინც ისევ ტყეში და აქაურ ციმბირულ ჰაობაში, „ტაიგად“ წოდებულში, სცხოვრება ერჩივნა ადამიანის მიკარებას. მერე და მერე შესჩვეოდა ხალხს და ოქროს მადნებზე მუშაობად ამბოლოდროს, სამშობლოს მოშორებული და ყველასაგან დავიწყებული. ეს მაგალითი ზედ გამოჭრილი ნიმუშია აქაურის გამოგზავნილი ხალხისა. ყველას თავ-გადასავალი თითქმის ერთი და იგივეა: გულმა ვერ მოუთმინა, ჟინი იყარა და ციმბირში ამოჰყო თავი ტყუილ-უბრალოდ.

უმეტესობა აქაურის ქართველობისა ვაჭრობას მისდევს და ამ ვაჭრობაში დიდ უნარს და კომერციულ ნიჭს იჩენს. უმცირესობა სამსახურშია. ყველა სულით და გულით მიილტვის სამშობლოსკენ, მაგრამ ზოგს არუნდა უფულოდ წამოსვლა, სხვას ეშინიან, რომ საქართველოში არავინ შეითვისებს, ზოგი კიდევ ისე შესჩვევია ციმბირს, რომ თითქმის თავი ვერ დაუღწევია მისთვის. ერთმანეთის ხათრი და გატანა აქ უფრო მეტი აქვთ, ვიდრე სამშობლოში.

აქვე მოსახსენებელი არის თვით ციმბირი და სხვა ხალხი, რომელთანაც ქართველებს საქმე აქვთ.

ციმბირი დიდი, მდიდარი და ლამაზი ქვეყანა არის. ციმბირის სიმდიდრე უმთავრესად ხორბალსა, კარაქსა, ქვიშა-ოქროსა, პეწვეულობასა და თევზში გამოიხატება. სივრცით მარტო ერთი გუბერნია არის მთელ გერმანიაზე დიდი. სილამაზე კიდევ შესანიშნავი ამერიკის მოგზაური D—v Senn-ი ამბობს, რომ ნახე ვლადივასტოკი და მოკვდიო, ვითომ სულ ერთია, ამაზე ლამაზს ვერასა ნახავს კაციო. ამერიკელი მოგზაური ასევე იტყოდა ბაიკალზე, ალტაიაზე და მთელ ციმბირზე, რომ მთლად დაევლო, მაგრამ კავკასიელს ბუნების სილამაზით ვერავინ ვერ გააკვირვებს.

უნდა მოგახსენოთ, რომ ციმბირი, როგორც ყველა ახალ შენი, მაგალითად, კანადა, ავსტრალია, სრულებით არა ჰგავს და არც უნდა რომ ჰგვანდეს თავისს მეტროპოლიას. ციმბირს თავისი განსხვავებული ეკონომიური და პოლიტიკური ინტერესი აქვს. თუ მივიღეთ სახეში, რომ კანადამ და ავსტრალიამ მოიპოვა ავტონომია,—რასაკვირველია, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ციმბირიც ადრე თუ გვიან მიიღებს თვითმმართველობას. მით უფრო, რომ ციმბირელი „გურანი“ (ბაიკალის აღმოსავლეთით მცხოვრები ციმბირელი) და „ჩალდონი“ (ბაიკალის დასავლეთით მცხოვრები ციმბირელი) ლაპარაკით ისე განსხვავდება „ლაპოტნიკისაგან“ („ლაპოტნიკს“ ციმბირელი რუსს ეძახის, რადგან ქალამნებს ატარებს; თითონ ციმბირელი კი თავის „ტაიგს“ მხოლოდ „იჩიგებით გაივლის, „იჩიგები“ ჩვენებური ყელიანი ჩუსტები არის), როგორც ამერიკელი ინგლისელისგან, თუმცა ენა ერთი და იგივეა.

ციმბირს მასთანვე თავისი იდეოლოგები ჰყავს. მოვიხსენიებთ სხვათა შორის: იადრინცევს, ომულევსკის და მეტადრე მეცნიერს გრიგოლ პატანინს. ამ ციმბირელ პატრიოტს ეკუთვნის ის აზრი, რომ რუსეთის ხაზინაში არ უნდა შედიოდეს ციმბირის სულ უბრალო ხორბლის მარცვლის ფასი და ერთი ბეწვა ოქროს ქვიშის ფერფლის საფასიო.

შორეულ აღმოსავლეთში და ამ ბოლოს დროს ციმბირშიაც ძალიან გახშირდა უცხო ტომის ხალხი: ჩინელი, იაპონელი და კორეელი, ყველა ამ ხალხის ნიშნობლივი თვისება მეტის-მეტი შრომის მოყვარეობა არის და იეფად მუშაობა, რის გამოც ყველას კონკურენციას უწევს სუყველაფერში, ხელობასა და ვაჭრობაშიაც. ყველა ეს „ყვითელი კანიანი“, როგორც ფუტკრები, სულ მუდამ საქმეში არიან გართულნი და როგორღაც ინსტიქტიურად მუშაობენ. წარმოუდგენელია მათი შრომის მოყვარეობა!.. ჯერ-ჯერობით ეკონომიურად დაიპყრეს შორეული აღმოსავლეთი.

ყველაზე კარგი ხალხი კორეელია, მაგრამ მეოცე საუკუნეში ძროხა-ხალხსა და კრავ-კაცს ხომ ფასი არა აქვს...

ჩინელებში ცოტათი ამ ბოლო დროს ყაჩაღობა გავრცელდა და მათი ავაზაკი „ხუნხუზები“ დიდ ველურობას იჩენენ.

იაპონელებში ქალია შესანიშნავი. თავისს სიმშვიდით, სინაზით, ქმრის მორჩილებით და მუშაობაში მუყაითობით ცალი არა ჰყავს.

ვლადივოსტოკი. **მღ. ლომიძე.**

# მოწერილი ამბები

**კავკავი.** ვინც თვალ-ყურს ადევნებს კავკაველ ქართველთა ცხოვრებას, ის უეჭველად დამეთანხმება, რომ აქაურმა ერთი მუჭა ქართველმა ინტელიგენციამ და ხალხმა გაუსწრო კულტურულ მოქმედების მხრით ზოგიერთ ჩვენი კუთხის ქართველობას და მისს მეთაურე და მოწინავე ინტელიგენციას. აქაურ ინტელიგენციის სიტყვას საქმიანობა ეტყობა. კავკაველ ქართველთა სიამაყეს შეადგენს: კარგად მოწყობილი ქართული სკოლა, ეს—ეროვნების დაცვის იარაღი, ქართული თეატრი, წიგნთ-საცავ სამკითხველო, ქართული საკვირაო სკოლა, პროფესიული სკოლა, საკრედიტო ამხანაგობა და ქართული ეკლესია.

**1910 წ. 25** ოქტომბერს შესდგა საზოგადო კრება ქარ. შ. წ. კ. გ. ს. კავკავის განყოფილების წევრთა, რომელსაც დაესწრო 47 წევრი. კრებას თავმჯდომარეობდა საზოგადოების თავმჯდომარე ბ-ნი ტ. ბ. კახიძე. კრებაზე შემოტანილ იყო წინადადება, რომ თავმჯდომარედ დღევანდელ კრებისა არჩეულ უთუოდ გარეშე პირი, წევრი საზოგადოებისა, ხოლო არა—წევრი გამგეობისა. ამ საკითხმა დიდი კამათი გამოიწვია კრებაზე. თათბირის შემდეგ, თანახმად საზოგადოების წესდებისა, წინადადება უარყოფილ იქმნა. კრებას მოხსენდა 1909 წლის შემოსავალ-გასავლის ანგარიში. ბ. თავმჯდომარის განცხადებით ეს ანგარიში სარევიზიო კომისიისაგან შეუმოწმებელი აღმოჩნდა. ბრალს სდებდა სარევიზიო კომისიას, რომელსაც იგი უუბნებოდა: „ოთხ თვეზე მეტია, ანგარიში დაბეჭდილია და თქვენ კი არ შეგიმოწმებიათ.“ კრებამ დაადგინა: დავალებოდა სარევიზიო კომისიას განეხილოს შემოსავალ-გასავლის ანგარიში და წარმოუდგინოს იგი შემდეგ კრებას. გამგეობის ანგარიშით 1909 წ. შემოსავალი ყოფილა სულ 4.887 მ. 42 კ., გასავალი კი სულ 4189 მ. 43 კ. მეორედ კრებას მოხსენდა კავკავის ქართულ სკოლის მოწაფეთა სწავლა-აღზრდის ანგარიში 1909—1910 სასწავლო წლისა. ბ-ნმა ზ. კიკნაძემ შემოიტანა წინადადება: ქართულ სკოლაში სწავლა-დამთავრებულ უმაწვილებისათვის დაქირავებულ იქმნას ზაფხულის არდადეგებში მასწავლებლები, რომლებიც მოამზადებენ უმაწვილებს საშუალო სასწავლებლებში მისაცემად. საზოგადოებამ ამ საკითხის უკეთ მხრივ გამოსარკვევად ამოირჩია კომისია, რომელიც თავის მოსაზრებას მოახსენებს კრებას. კომისიაში არჩეულ იქნენ სამხედრო ექიმი ბ-ნი მ. ა. კალანდარაშვილი, ი. გ. შვილიევი, ზ. დ. კიკნაძე და კ. ი. არველაძე. ამ საკითხმაც აგრეთვე დიდი კამათი გამოიწვია კრებაზე. უნდა შევნიშნოთ, რომ გიმნაზიებისა და უნივერსიტეტების მოტრფიალენი უფრო ბევრნი აღმოჩნდნენ, ვიდრე სახელოსნო, სამეურნეო, სატეხნიკო და კომერციულ სასწავლებლებისა. წინადადების შემომტანმა ბ. კიკნაძემ თავის წინადადებას წაუმძღვარა შემდეგი სიტყვები: „აქაურს ქართულ სკოლაში, რაც შეიძლება, ისე უნდა მოვაწყოთ საქმე, რომ აქედან გიმნაზიაში შედიოდნენ მოწაფეებიო. ამ აზრს მომხრეც საკმაოდ აღმოუჩნდა. საზოგადოების თავმჯდომარემ ბ. ტ. ბ. კახიძემ და მასწავლებელმა ა. რამიშვილმა სთქვეს: ამ სკოლის დანიშნულება ის კი არ არის, რომ გიმნაზიებისთვის მოამზადოს უმაწვილები, არამედ—შეასწავლოს კავკაველ ქართველთა შვილებს ქართული წერა-კითხვა და სხვა საგნები სამშობლო ენაზე. უმჯობესი იქნებაო“.—სთქვეს ბ. კახიძემ და ა. რამიშვილმა.—გავხსნათ ამ სკოლასთან სახელოსნო განყოფილება, სადაც ბავშვები შეისწავლიან ხელობას, რისაც შემდეგ, ზოგიერთმა, სწავლაც რომ არ გააგრძელოს, მაინც შეძლება მიეცეთ განვითარდნენ და ამ ხელობით იცხოვრონო“. ამ აზრს ძლიერ ცოტამ დაუჭირა მხარი. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ კავკავის ქართულ სკოლაში უმრავლესობა მოწაფეებისა შვილებია ღარიბ ქართველ მშობელთა, რომელთაც გიმნაზიაში და უნივერსიტეტში შვილების გაზრდის თავი არა აქვთ, სამოქალაქო სასწავლებლებშიაც უჭირდებათ შვილების გაზრდა.

მესამედ საზოგადო კრებას მოხსენდა გამგეობის დადგენილება მოსწავლეთათვის ტანისამოსის ფორმის შემოღების შესახებ. კრებამ დაადგინა: ამისი სისრულეში მოყვანა დაევალოს საზოგადოების გამგეობას. მეოთხედ კრებას მოხსენდა თუ რა საშუალება ვიხმაროთ, რომ მოვიზიდოთ საზოგადო საქმეში ის ქართველები, რომლებიც უარყოფით,—გულ-ცივად,—ეკიდებიან საზოგადო, საერთო საქმეს. ეს საკითხი განსახილველად და საბოლოო გადასაწყვეტად გადაეცა გამგეობას. კრებას მოხსენდა აგრეთვე, თუ რომელი წევრი გამგეობისა რამდენჯერ დასწრებია, ან არ დასწრებია სხდომებს; რადგანაც ზოგიერთნი სულ არ ესწრებიან, ზოგი ცოტა სხდომებს ესწრება, გამგეობა სთხოვს კრებას გადასწყვიტოს: რა საშუალება იქნეს მიღებული ამის შესახებ. ეს კითხვაც გამგეობას გადაეცეს.

აქვე უნდა ვსთქვათ, რომ დიდი მადლობის ღირსნი არიან საზოგადოების თავმჯდომარე ბ. ტ. ბ. კახიძე, მდივანი მღ. გ. ნათაძე, გამგეობის წევრები: ბ. მ. კალანდარიშვილი, ი. შვილევი და ზ. კიკნაძე დაუღალავ და ენერგიულ შრომისათვის. ესენი უსასყიდლოდ ემსახურებიან საზოგადოებას და სცდილობენ აქაური, ქართული კულტურული დაწესებულებანი გააღონიერონ და განავითარონ აქაურ ქართველ ხალხის საკეთილდღეოდ. უსურვებ აქაურ ქართველ საქმის მესვეურთ და ქართველ საზოგადოებას წარმატებას,

22 ოქტომბერს, აქ გარდაიცვალა კავკავის გიმნაზიის მე-6 კლასის ქარ-

თველი მოწაფე ბ. კობახიძე, რამაც აჭარული ქართველების შეგნებული ნაწილი ძლიერ დაადონა. განსვენებული იშვიათი ხასიათის ყმაწვილი იყო. აჭარულ ქარ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების განყოფილების დროშის ქვეშ ენერგიულად მუშაობდა. ქართულ საკვირაო სკოლაში უსასყიდლოდ ასწავლიდა ყმაწვილებს, გვიჩვენათ[...]

ბეც იყო, წარმოდგენებშიაც ხშირად ღებულობდა მონაწილეობას, ასე რომ მომავალი კარგს უქადდა, მაგრამ ულმობელმა სიკვდილმა არ დაინდო აჭარული ინტელიგენტებით ღარიბი ქართველთა საზოგადოება და ხელიდან გამოსტაცა მშრომელი ადამიანი. დასაფლავება მოხდა 25 ოკტომბერს; ბლომად დაესწრო ქართველი საზოგადოება გვირგვინები იყო ამხანაგებისა და ქართულ სკოლისაგან. აჭარულმა ქართველმა მუშებმაც მოაგროვეს 7 მანეთი ფული, რომ გვირგვინი ეძლვნათ მიცვალებულისათვის, მაგრამ ისე მოხდა, რომ გვირგვინის მაგივრად ეს ფული ერთ ერთ ქართულ კულტურულ დაწესებულებას გადასცეს. სიტყვა არავის წარმოუთქვამს. ნუ თუ ასეთი ყმაწვილი სიტყვის ღირსი არ იყო?.....

**ლოურეშელი კაცი.**

---

**სამეგრელო.** სიმინდის დადაგება თავდება. მოსავალი, სხვა წლებთან შედარებით, თუ ორი იმდენი არა, ერთი მესამედით მაინც მეტია.

ათას ნაირად შევიწროებული ხალხი ახლავე შეუდგა სიმინდის მზით თუ ცეცხლით გაშრობას და ბაზარში ორ აბაზად გაყიდვას (ფუთის).

---

**ს. ნოსირი.** მომხმარებელი დუქანი კოოპერატიული არ არის, დუქნის წარმოება ჩარჩულია. თუ მაინც კოოპერატიად მონათლეს და მთავრობის მიერ მისი კოოპერაციად დამტკიცება ქვეყანას გაზეთით აუწყეს, ეს მხოლოდ მწარმოებელთა სიყალბე იყო და სხვა არაფერი. ბ. „კარითელი" ხსენებულ დუქნის ინიციატორ-მწარმოებლებს ქებით იხსენიებს („ახალი გზა" № 42)

და იმ პირს კი, ვინც მწარმოებლების სიდუხჭირე შეძლებისდაგვარად წევრებს არა ერთჯერ გააცნო და ოპოზიციონერობას გაქცევა არჩია,—„პროვოკატორად" ნათლავს. თან „საზარელ" გლეხთა წოდების ბღაუჭით და მზაკვრის ღათაიებით მშრომელ ხალხის (გლეხობის) შეცდომაში შეყვანას ცდილობს, რომ მწარმოებლების დაცემული პრესტიჟი კვლავ აღადგინოს. ნაცვლად მიზნის მიხწევისა, თითონ გარდება უ'ტერ ოფიცრის ცოლის დღეში და იმ ორგანოსაც, რომელშიაც მისი წერილია მოთავსებული, დათვურ სამსახურს უწევს.

დადგა თუ არა შემოდგომა, სამეგრელოს თანდაყოლილმა ჭირმა, ქურდობამ, კვლავ ჩვეულებრივად იჩინა თავი. წესიერების დამცველ-მეთვალყურენი თითქოს განზრახ ქურდებს იქ ეძებენ, სადაც ისინი არ არიან და სადაური ძებნაც ქურდებსა და ავაზაკებს მოქმედებას უფრო უადვილებს.

თუ მცხოვრებთ ათასში ერთხელ მაინც ბედმა გაუღიმა და ქურდის კვალს მიაგნეს, ხშირად ჭეროვან ყურადღებას ადგილობრივ მთავრობის წარმომადგენლნი არ აქცევენ, რის გამოც უფრო გათამამებულად დაპარპაშობენ და იმუქრებიან კიდეცა, მაგალითად, როგორც ს. ნოსირის მცხოვრებში პ. კიზ—ას ცხენის ქურდი.

**ივანე.**

# თეატრი და ხელოვნება

**ქუთაისი.** 30 ოქტომბერს, დრამატიულ საზოგადოების დასმა წარმოადგინა ა. ჩეხოვის „ალუბლის ბაღი"-დან ბ. ბარველის მიერ უხეიროდ გადმოქართულებული პიესა „სალხინო". წარმოდგენა სახალხო, იაფფასიანი იყო. ჩემის ფიქრით, დრამატიული დასი სრულიადაც რომ არ გამასპინძლებოდა ამ პიესით „ხალხს", უკანასკნელი ბევრს არაფერს დაჰკარგავდა. აბა რა უნდა შესძინოს ამ პიესამ, თუნდ კარგადაც შესრულებულმა, ხალხის ჭკუაგონებას, მის სულსა და გულს? წარმოდგენას ხალხი ბლომად დაესწრო.

31 ოქტომბერს, დრამატიულმა დასმა გაიმეორა წინა კვირას დადგმული ლ. ანდრეევის მყვირალა პიესა „გაუდეამუს". მსახიობთა შორის როლები წინანდებურად იყო განაწილებული. ამიტომ არც გასაკვირველია, რომ წარმოდგენა ჩინებულად მიდიოდა, რომ ყოველ მოქმედებაში ხელი არ შეეშალა მისთვის თეატრში მომხდარ არეულობას. ეს არეულობა გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ თეატრის გვერდით, ოცხელის შენობაში, სადაც ეგრეთ წოდებული „რადიუმი" ა მოთავსებული, ბუხარს გაუჩნდა ცეცხლი, რომელმაც თეატრის ფანჯრებში შეანათა და მასთან მთელს თეატრში საშინელი სულის შემხუთველი მაზუთის სუნი გაავრცელა. ამავე დროს მოისმა ხმა: „ცეცხლი, ცეცხლიო" თეატრში შეიქმნა ერთი ხრიალ-ხრიალი და წივილ-კივილი. ხალხი ერთმანეთს ასკდებოდა და კარებისაკენ გარბოდა, რომ თავისათვის ეშველა. თეატრში დიდი უბედურება დატრიალდებოდა, რომ დრამატიულ საზოგადოების გამგეობის ერთს წევრს ხმა მაღლა არ გამოეცხადებინა, ნუ გარბიხართ, დამშვიდდით, საშიში არაფერიაო. აღმოჩნდა, რომ ეს სიტყვები ხალხის დროებით დასამშვიდებლად იყო წარმოთქმული. ცოტა ხნის შემდეგ გამოუცხადეს საზოგადოებას, თუმცა საშიში არაფერია, მაგრამ მაინც დასტოვეთ თეატრი ნელ-ნელაო. თეატრი, რომელშიაც ამ დღეს საზოგადოება ნაკლებად იყო, ერთ წამში დაცარიელდა. ცეცხლი მალე ჩააქრეს შინაურის საშუალებით, ასე რომ—ცეცხლის მქრობელი რაზმი რომ მოვიდა, საქმე თითქმის არაფერი ჰქონდა გასაკეთებელი და უკანვე დაბრუნდა.

აქ უნდა აღვნიშნოთ, რომ „რადიუმ"-ში ცეცხლის გაჩენა პირველი შემთხვევა არაა. ისიც აღსანიშნავია, რომ „რადიუმ"-ის მილიდან გამოსული მაზუთის ბოლი მთელს მიდამოს ჰფარავს და ჰაერს შხამავს ქალაქის საუკეთესო ნაწილში, სადაც მოთავსებულია ბულვარი, თეატრი, სავაჟო გიმნაზია, საგუბერნიო სამმართველო, საურთიერთო ნდობის საზოგადოება, საავადმყოფო და სხვა დაწესებულებანი. მოსალოდნელია, ადრე თუ გვიან, როგორც თეატრი, ისე მთელი ერთი უბანი „რადიუმ"-იდან გაჩენილი ცეცხლის მსხვერპლად გახდეს. ესეც რომ არ იყოს, ნუ თუ საჭირო არაა, რომ ქალაქის გამგეობა ჩაერიოს ამ საქმეში და აუკრძალოს „რადიუმ"-ს მოიჯარისათვის მაზუთის ხმარება, მასთან საკვამლე მილი ისე მაღლა და მკვიდრად გააკეთებინოს, რომ შიგ ცეცხლი არ გაჩნდეს და თუ გაჩნდება, საშიში არ იქმნეს. ყველას კი ის ეჯობინება, რომ „რადიუმი", რომელიც მეტად ხელს უშლის თეატრსა, ჩვენს ერთად-ერთს ეროვნულ დაწესებულებას, სხვა ადგილს იქმნეს გადატანილი.

**ისარი.**

---

**ჭიათურა.** კვირას, 31 ოქტომბერს, ადგილობრივ დრამატიულ საზოგადოების სცენის მოყვარეთა დასის მიერ გაიმართა ჩვენის სახელოვან მგოსნის ილია ჭავჭავაძის სახსოვრად საღამო.

წაკითხულ იქმნა გრიპებსა და კოსტიუმებში „დედა-შვილი", „სურათი ყაჩაღის ცხოვრებიდგან", „გლახა ჭრიაშვილი" და რამდენიმე ლექსი.—დასასრულ ს. კავსაძის ხოროს მიერ შესრულებულ იქმნა სიმღერები.—კარგები იყვნენ გლახა ჭრიაშვილის როლში ბ. ი. გომელაური და დედის როლში ქ. მაითიაშვილისა.

საღამოს ხალხი ბლომად დაესწრო. უადგილობისა გამო ბევრი დაბრუნდა სახლში გულდაწყვეტილი. არ შეგვიძლიან არ აღვნიშნოთ, რომ ანტრაქტები ერთობ გრძელი იყო, რასაც ჯეროვანი ყურადღება უნდა მიექცეს.

**დრო-ებით ჭიათურელი.**

# ფინლანდია

სეიმის არჩევნებამდე ფინლანდიაში მხოლოდ ორი დღე-ღა დარჩა და არჩევნებისათვის წინასწარი მზადება უკვე დაიწყო, თუმცა ამ მზადებამ ფინლანდიის საზოგადოებრივ ცხოვრებაში დიდი სიცოცხლე ვერ შეიტანა. ხალხი დამშვიდებულია, მშვიდობიანად, მაგრამ იმედიანად კი მუშაობს. ფინლანდიის განწყობილება ისეთივეა, როგორც წინად. მთელი კითხვები ხალხს ისევე აინტერესებს, რამდენადაც აინტერესებდა უკანასკნელად მომხდარ არჩევნებამდე. ლოზუნგი იგივეა: „ბრძოლა ავტონომიისათვის".

განზრახული საერთო საარჩევნო ბლოკი, რომელსაც უნდა ხაზი გაესვა ერში არსებულ ერთ-სულოვნებისათვის, არ მოხერხდა. ამ ჟამად საარჩევნო აგიტაციაში ყველაზე მეტს როლს თამაშობენ შვედები, რადგანაც მათს პარტიაში ბევრი გამოცდილი პოლიტიკური მებრძოლია,

საბოლოოდ ჯერ არ არის გამორკვეული, თუ პეტერბურგიდან ახალს სეიმს რა წინადადებათ მისცემენ. როგორც ამბობენ, პეტერბურგში უკვე შესწორება შეაქვთ იმ კანონ-პროექტში, რომელიც სეიმმა უნდა განიხილოს. ეს კანონ-პროექტი შეეხება ფინლანდიის მოქალაქეებთან ფინლანდიაში მცხოვრებ რუსების უფლებრივ გათანასწორებას.

ფინლანდიის შესახებ სახელმწიფო სათათბიროს წევრებმა მოწოდება მიიღეს საფრანგეთის პარლამენტარიებისგან, რომელნიც აღნიშნავენ, რომ ფინლანდიას ალექსანდრე პირველისაგან მინიჭებული აქვს ნაციონალური უფლებანი და სთხოვენ დეპუტატებს, ფილანდიის საკითხს დიდის სიფრთხილით და ყურადღებით მოეპყრან და უცებ, მოუფიქრებლად არ დასჭრან ბედი მთელის ერისა, რომელსაც თავის შრომით საპატიო ადგილი უჭირავს ცივილიზაციის მსოფლიო ისტორიაში.

# უცხოეთი

**სეფე-სიტყვა ბელგიის პალატაში.**

ბელგიის დეპუტატთა პალატაში დიდი არეულობა მოხდა სეფე-სიტყვის წაკითხვის დროს. ჩვეულებისამებრ, პალატაში გამოცხადდა მეფე სეფე-სიტყვის წასაკითხავად. მეფის მოსვლამდე 15 წამით ადრე პალატაში მოვიდა დედოფალი ორის უფროსის პრინცით, ბოლოს ცხენით მოვიდა მეფე. როდესაც მან „მეფის ქუჩაზე" გაიარა, აუარებელი ხალხი მიესია მეფეს და თეთრი ბილეთები მიაყარა, რომელზედაც ეწერა: „გადადეგით. გაუმარჯოს საყოველთაო საარჩევნო უფლებას!" მეფე იღიმებოდა, მაგრამ პალატაში მეფეს უფრო სასტიკი დემონსტრაცია მოელოდა. პირველად პალატაში დედოფალი შევიდა პრინცებით. ერთის ლოჟიდან დაიძახეს: „გაუმარჯოს დედოფალს!" იმ წამსვე სოციალისტები წამოდგნენ და მოითხოვეს ამ სიტყვების მთქმელის გარედ გაყვანა. პრინცები დედას მიეკვრენ შიშით. 15 წამის შემდეგ თვით მეფე შემოვიდა დარბაზში და ყვირილიც გაძლიერდა. სოციალისტებმა რესპუბლიკური სიმღერები დაიწყეს. კლერიკალებმა სიმღერა დაიწყეს მეფის პატივსაცემად. ამაზე სოციალისტებმა საშინელი ხმაურობა ასტეხეს. მეფე დაჯდა და გაფითრებული კრებას გადასცქეროდა. ერთმა კლერიკალმა უცებ დაიძახა: „ახლა სიტყვა ეკუთვნის მხოლოდ მეფეს!" მის პასუხად ვანდერველდემ ხმა მაღლა განაცხადა: „მეფის წინააღმდეგ ჩვენ არაფერი გვაქვს. ჩვენ წინააღმდეგნი ვართ მთავრობისა, რომელიც დაყრდნობილია მხოლოდ სიცრუესა და სიყალბეზე". 20 წამის განმავლობაში მეფე იძულებული იყო ჩუმად ყოფილიყო. როგორც იყო, ხმაურობა მისწყდა და მეფემ მდაბალის ხმით წაიკითხა სეფე-სიტყვა. პალატაში მომხდარმა სცენამ, როგორც ეტყობა, დიდი შთაბეჭდილება იქონია მეფეზე.

# რუსეთი

**ლევ ტოლსტოი.**

ლევ ტოლსტოის წასვლამ „იასნაია პოლიანა"-დან მთელი რუსეთი აალაპარაკა. სატახტო გაზეთები სავსეა აუარებელ წერილებით, რომელშიაც დაწვრილებით აღწერენ ლევ ტოლსტოის წასვლის დაწვრილებით ამბავს და არკვევენ იმას, თუ რამ აიძულა სახელგანთქმული მწერალი მოხუცებულობის დროს თავის სახლიდან ასე ფარულად წასულიყო. გაზეთებში მოთავსებულია აგრეთვე ცნობები, თუ როგორ სცხოვრობდა და როგორი იყო ტოლსტოის სულის განწყობილება „იასნაია პოლიანა"-ში ცხოვრების უკანასკნელ ხანებში. გაზეთების სიტყვით, ლევ ტოლტოის წასვლა არც ისე მოულოდნელი იყო, როგორც პირველად გვეჩვენება. თავის წასვლის შესახებ ტოლსტოი შინაურებში ხშირად ამბობდა ხოლმე გადაკვრით და გაზეთებიც იმ აზრისა არიან, რომ ტოლსტოის განზრახვას სარჩულად დაედო შემდეგი სიტყვები:— მე მართლმორწმუნე ქრისტიანე ვარ და ჩემის სიცოცხლის უკანასკნელი წამები მინდა გავატარო ამ ქვეყნის მოშორებითო.

**პროვოკაცია.**

ამას წინად რუსეთში გასაოცარი ამბავი მოხდა. რუსეთში გავრცელდა ჟურნალი „რუსეთ-ამერიკის მოამბე", რომელიც რევოლუციონერებს გაერთიანებისკენ მოუწოდებს. ჟურნალი ამერიკიდან თავისუფლად შემოდის რუსეთში და მის გავრცელებას მთავრობა ხელს არ უშლის. რად ერგო „მოამბის რედაქტორს ევალენკოს" ასეთი კარგი ბედი? ამ საიდუმლოებას ვიგებთ დიაჩკოვ-ტარასოვის წერილიდან, რომელიც „პარიჟის ფურცელში" დაბეჭდილი: თურმე ევალენკო რევოლუციონერთ მარტო გაერთიანებას-კი არ ურჩევს, არამედ ბურცევთან ბრძოლასაც, რომელმაც ბევრი პროვოკაცია გამოამჟღავნა. ამას გარდა ევალენკო ყოფილა ის პირი, რომელიც ნიუიორკში პარტიულმა სასამართლომ „დამნაშავედ იცნო იმაში, რომ პოლიციის დეპარტამენტის საიდუმლო აგენტად იყო და ამავე დროს ს.-დ. პარტიისა, ბუნდისა, ს. რევოლ. პარტიისა და რუსის სტუდენტთა კლუბის წევრად ითვლებოდა". „პარიზის ფურცლის" სიტყვით, „ევალენკო თუმცა ემიგრანტ-რევოლუციონერია, მაგრამ ამას წინად თავისუფლად მოიარა პეტერბურგი, სადაც მიიღო ფართე ინსტრუქციები ბურცევთან საბრძოლველადო. ის ხან თავის გვარს ატარებს, ხან ვებერისას და ხან კრუგლოვისას.

# წერილ. რედ. მიმართ.

მოწყალეო ხელმწიფეო,

ბ. რედაქტორო!

სახალხო გაზეთის 144 №-ში მოთავსებულია ქუთაისის თავად-აზნაურთა პეტერბურგელ სტიპენდიატების წერილი სტიპენდიების გაგზავნის შესახებ. წერილში ჩემზედაც არის ბაასი, არ ვიცი კი, რა მოსაზრებით. რადგანაც მე ჩემს თავს შეურაცყოფილად ვსთვლი, მოვითხოვ თქვენის გაზეთის საშუალებით გამოაცხადონ თავისი ვინაობა და გამომყვნენ სამედიატორო სამართალში ის სტიპენდიანტები, რომელნიც თანახმა არიან ზემო-მოხსენებულ წერილისა.

მდივანი სათ.-აზნ. საკრებულოსი

**დ. მდივანი.**

---

ბატონო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ ადგილი მისცეთ თქვენის გაზეთის ფურცელზე ამ ჩემს პატარა წერილს.

თელავში მე მაქვს აღებული ჟურნალ-გაზეთების აგენტურა. ჩემი მიზანია, რაც შეიძლება მეტი გაზეთი გავრცელდეს ხალხში. ამ მოსაზრებით და იმ მიზეზითაც რომ, წვრილ-წვრილად ფულის ძლევა თითო გაზეთში უხერხულია, მე ვაძლევდი ზოგიერთ მკითხველს ნისიად ჟურნალ-გაზეთებს, რომ თვე-და-თვე ჩაებარებინათ ფული. ამით ისარგებლეს ზოგიერთმა პირმა: მიჰქონდათ გაზეთები და ფული კი აღარ მომცეს, (დღევანდლამდე), 32 მანეთისა და 10 კაპეიკის ჟურ.-გაზ. აქვთ წაღებული). რასაკვირველია მე იმდენი ფული აღარ მრჩება, რომ ბიუროდან უფრო მეტი გაზეთი გამოვიწერო და გავავრცელო ხალხში.

ამიტომ ვუცხადებ ყველა იმ პირთ, ვინც გაზეთები წაიღეს, დამიბრუნონ ფული. წინააღმდეგ შემთხვევაში იძულებული ვიქნები მათი გვარები გამოვაცხადო გაზეთის ფურცლებზედ შესაფერის არა სასიამოვნო წერილითურთ.

ჟურნალ-გაზეთების გამავრცელებელი აგენტი ქ. თელავში **კ. ონიკაშვილი.**

ვთხოვ ყველა გაზეთის რედაქციის გამომცემლებს, რომელნიც ჩვენს ბიუროს ეკუთვნიან, ეს წერილი გადაბეჭდონ.

**კ. ონიკაშვილი.**


# განცხადებანი

**ექიმი** ე. ს. ხუნდაძე დაბრუნდა ქუთაისში

იღებს შინაგ., ქალ., ბავ. და სიფილ ავადმყოფებს. დილით 9—11 ს., საღამოთი 6—7 საათ. ოთხშაბათობით ღარიბებს უფასოდ იღებს. (ნ.—218)

**დოქტ. ნავასარდიანისა**

ყოველ დღე, კვირეებს გარდა

დაარსებულია 1880 წელს.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

**დ ი ლ ი თ:**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.

**ყ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვი.** 12—1 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**ა. პ. კარაპეტიანცი:** 1—1½ ს. შინაგან· და საბავშვო.

**ბ. გ. აგასაროვი:** 1½—2 ს. შინაგ. და ბავშვთა ავად.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**ქალ. ექ. პ. ს. ზილბერმანცი:** 6—6 ს. საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.

**ო. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 6—6½ ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ი. ფ. მარციშევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**

**ექიმი ნიკო ერისთავ ბათომში**

სამხედრო სამკურნალოს ორდინატორი ღებულობს და არჩენს შინაგან, ბავშვებისა და ნერვებით ავადმყოფებს მიიღებს ყოველ დღე 1—3 საათამდის ფილტვებით, კუჭით, ნაწლევებით (ბავშვების ფაღარათით) და ქარებით (რევმატიზმით) ავადმყოფებს; ციებ-ცხელების დიაგნოზი ახალის მეტოდით, სისხლის და ნახველის მიკროსკოპიული გამოკვლევა. ბათომი ვლადიკავკავის ქ. N 24. (20—171—9)

**ექიმი** მ. ს. მუსხელიშვილი იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე კიროჩნის ქ., № 9. (უ)

◀ **მშობიარეთათვის** ▶

**თავშესაფარი ბებია-ქალის თუხარელისა.**

ოლგას ქ., საბებიო ინსტიტ. პირდაპირ. მშობიარენი და ფეხმძიმე ქალები მიიღებიან ყოველ დროს დღეცა და ღამეც. არის საერთო საწოლი, ცალკე ოთახები და ოთახი საიდუმლოდ მომსვლელთათვის.

მიღება ქალის ავადმყოფობით სნეულთა, ძიძების გასინჯვა, ყვავილის აცრადა მასსაჟი ყოველ-დღე დილის 6—დან ნაშუადღევის 1 ს. (თ.—71124)

**გამოცდილი მასწავლებელი**

განაგრძობს მეცადინეობას მოსწავლე ქალ-ვაჟთ ყველა დაბალ და საშუალო სასწავლებლებისთვის: გიმნაზიისთვის, რეალურ, კომერციულ, ტეხნიკურ, სამოქალაქო, საფერშლო, რკინის გზის და სასულიერო სასწავლებლებისთვის, ამზადებს ყველა ხარისხის ჩინზე. ერთ და ორ კლასიან მასწავლებლობის ხარისხზე. მსურველს მიიღებს მთელ ხარჯზედაც —პ ა ნ ს ი ო ნ შ ი, რომელნიც არ იქნებიან აცილებულნი 15 წ. სწავლაში მონაწილეობას მიიღებს სხვა მასწავლებლებიც).

მოლაპარაკება შეიძლება დილის 8 საათ. სად. 5—8 საათამდე. მეცადინეობა იქნება ორ ადგილას: ვორონცოვის ძეგლის მახლობლად და ნახალოვკაში, ავჭალის ქუჩაზე, ვაგზლის პირდაპირ.

ადრესი: Авчальская ул. с. д. N 133, кв. 4. (въ Нахаловкѣ противъ вокзала). (თ—152—13)

**საყმაწვილო სურათებიანი ჟურნალი**

**„ნაკადული"**

(წლიწადი მეექვსე)

1910 წლის პირველ იანვრიდან 1911 წლის პირველ იანვრამდე მიეცემა ხელისმომწერლებს:

**24** წიგნი მცირე წლოვანთათ **12** წიგნი მოზრდილთათვის.

გარდა ამისა მიეცემა პრემიად 1. მარლეის აჩრდილი,—ჩარლზ დიკენსის მოთხრობა. მოთხრობაში იქნება ჩართული სურათები. 2. ქართველი მხატვრული ახლები კუბიკებზე.

**ფასი ჟურნალისა:** წლიურად ხუთი მანეთი, ნახევარი წლით ღრივე გამოცემა—სამი მანეთი; საზღვარ-გარედ: წლიურად —შვიდი მანეთი; მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი—სამი მანეთი, მოზრდილთათვის 12 წიგნი—სამი მანეთი.

ხელის მოწერა მიიღება ტფილისში. „ნაკადულის" რედაქციაში (გოლოვინის პროსპექტზე. 8. და წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მაღაზიაში თავად-აზნაურთა ქარვასლაში).

◀ **სამეურნეო ჟურნალი** ▶

**მოსავალი**

წელიწადი მეორე

მიიღება ხელის მოწერა 1910 წლისათვის. ჟურნალი გამოვა იმავე პროგრამით. რედაქცია ჰპირდება თავის ხელის მომწერლებს რჩეულ მცენარეების საუკეთესო თესლის გაგზავნას უ ფ ა ს ო დ.

თუ შესძლებს რედაქცია, ჟურნალის ხელის მომწერლებს წლის დამლევს გაუგზავნის აგრეთვე უფასოდ თითო წიგნს-ბროშურას მეურნეობის რომელსამე დარგიდან.

რედაქციის ადრესი: Тифлисъ, Барятинская 5. Редакція „Мосавали".




**მოითხოვეთ**

**სწორე და მკვიდრი საათები!**

**ნუ გამოეკიდებით იაფ-ფასიან საათებს. კარგ საათებს ყოველთვის თავისი ფასი აქვს. პარიზის ახალი რამ.**

ორას მანეთიან ოქროს საათების მაგიერ გირჩევთ შეიძინოთ კაცის უზმო საათები სამი საბურავით «ს ე ც ხ ი ა», რომლებიც სილამაზით და სიმკვიდრით ოქროს საათებს არ ჩამოუვარდებიან, რადგანაც 14% ოქრო აქვს შემოკრული. ამ საათების მექანიზმი ნამდვილი შვეიცარიულია, მუშაობს 15 ქვაზე და მეტად კარგი ხმა აქვს, დაქოქვა 40 საათში ერთხელ, უკასაღებოდ. საათები ნამდვილი ახალი ოქროსია და თავის კარგ თვისებათა გამო დაჯილდოვებულია ოქროს მედალით და სიკარგის ნიშნით". ფასი 5 მ. 25 კ. 2 ც. 10 მ. 4 ც. 19 მ. 50 კ. ვინც გასინჯავს ამ საათებს დარწმუნდება, რომ ის 250 მან. ღირს. საათები იგზავნება წუთით წუთამდე გასწორებული 10 წლის პასუხის მგებლობით, ფას-დადებით და უბეოდ. გაგზავნა გადასახადით 40 კ. (ციმბირში 75 კ.).

ПАРИЖЪ 7 PARIS — S. Strumfeld Rue Mirbel 2 bis.

უფასოდ ვგზავნით ახალი ოქროს მშვენიერ ძეწკვს ბრელოკით და ზამშიბუდით. მიმართვა შეიძლება რუსულ ენაზე. დახურულ წერილზე უნდა დააკრათ 10 კ. მარკა, ხოლო ღია წერ. 4 კ. ადრესი გთხოვთ ამოსჭრათ და მაგრად დააკრათ კონვერტზე ან ღია ბარათზე.

(Мецль N 53647). (34—15—1)

ერთად-ერთი თევზეულობის საწყობი ფითოევის მრეწველობისა

**სალიანის თევზთ მრეწველ და მოვაჭრეთ**

**ძმ. ძეგველოვების**

**● მ ა ღ ა ზ ი ა ს ●**

პუშკინის ქ., სახლი № 9, ტელეფონი № 712,

ყოველ დღე განუწყვეტლივ მოდის

**✦ ახალ-ახალი ✦**

**ოსეტრინა** (ზუთხი) და **სევრიუგა** (ტარალანა).

**ხიზილალა**

ახალი, (Зернистая).

—◀ პარკისა და კოლოფებით ▶—

**საუკეთესო დოშები და ზურგიელები**

**მიღებულია დვინის ორაგული** (სიომგა)

**და წითელი ხიზილალა** (Кетовая). (წ.—128—23)

ერთად-ერთი საწყობი ფითოევის მრეწველობისა.

საუკეთესო წითელი (Кетовая) ხიზილალა

საუკეთესო წითელი (Кетовая) ხიზილალა